ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1307

# საბჭოთა ხელოვნება

№125

1980 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალენტინ რასპუტინი

# იცოცხლე და გახსოვდეს

ორაქტიანი დრამა

## მოქმედი პირნი

ანდრეი გუსკოვი
ნასტენა
მიხეიჩი
სემიონოვნა
მაქსიმ ვოლოგჟინი
ლიზა
ნადკა
ნესტორი
ინოკენტი ივანოვიჩ
რწმუნებული

ვასილისა ქკუისკოლოფი
ალათია
ვერა
კაპიტოლინა
— სოფლელი დედაკაცები

სტეფანე
ეფიმ
— ბერიკაცები

ქირურგი
მედდა
პოდპოლკოვნიკი
ტანკისტი
დაჭრილი
— მოქმედებენ ანდრეის მოგონებებში

ციმბირი, სოფელი ატამანოვკა,
**1944-45 წწ.**

## პირველი აქტი

### პირველი სურათი

მოქმედება იწყება რაღაცნაირად მოულოდნელი, ტრაგიკული ნოტით — ეს შეიძლება იყოს აფეთქების ან გამწყდარი სიმის ხმა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გარდატეხის ჟამი დგას, უჩვეულო ვითარებაა. დრამის მთავარი გმირები სწორედ ასეთ ვითარებაში წარმოდგებიან ჩვენს წინაშე.

ბნელცხადში ძლივსა ჩანს ფეხისწვერებზე მომავალი კაცის ლანდი. იგი მიელურსმნება აბანოს სარკმელს, შიგ იმზირება და აყურადებს, შემდეგ ფრთხილად აღებს კარს. მეორე ლანდი, შიგნით, დამფრთხალი წამოვარდება. ეს ნასტენაა.

ნ ა ს ტ ე ნ ა. რომელი ხარ მანდ?
(არ ეხმიანებიან).
ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ვინა ხარ-მეთქი მანდ, ვინა?

ა ნ დ რ ე ი. ჩუმად, ქალო. მე ვარ, ნასტენა, მე. ჩუმად იყავ, გაიგე!

ნ ა ს ტ ე ნ ა. რაო, ანდრეი ვარო? ანდრეი ხარ?

ა ნ დ რ ე ი. ჩუმად-მეთქი! შენ ვინმეს უთხარი, რომ მე აქა ვარ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. არავისთვის მითქვამს.

ა ნ დ რ ე ი. მეძებდნენ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. (ძლივსღა ახერხებს პასუხის გაცემას, ვერა და ვერ დაუჯერებია სინამდვილეში ხდება ყველაფერი თუ არა).
მილიციონერი ამოვიდა ამასწინათ კარდიდან, გიკითხა.

ა ნ დ რ ე ი. დედა და მამა ჩემს ამბავს ექვად ხომ არ ხვდებიან?

ნ ა ს ტ ე ნ ა. არა.

ა ნ დ რ ე ი. პური შენ მომიტანე?

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე მოგიტანე.
(სდუმან. არც შეუძლიათ და არც იციან რა ილაპარაკონ).

ა ნ დ რ ე ი. აი, ხედავ, ისევ შევეყარეთ ერთმანეთს, ნასტენა. შევხვდით-მეთქი, აბა! ვერა და ვერ დამიჯერებია, რომ ისევ ჩემი სიცოცხლე ქალის გვერდით ვარ. მე ამ მისადგომ-მოსადგომში არავის არ უნდა დავნახვებოდი, მაგრამ მარტოკა ამ ზამთარს რას გავატანდი. თუ გესმის მაინც, რისთვისა ვარ შენთან მოსული, ადამიანო? თუ გესმის-მეთქი, ჰა?
(ნასტენა მხრებს იჩეჩავს)
შენ გეკითხები!..

ნ ა ს ტ ე ნ ა. არ მესმის.

ა ნ დ რ ე ი. „არ მესმის"... იცი, რა გითხრა, ნასტენა ჩემო? კარგად დამიგდე ყური. კაციშვილმა არ უნდა გაიგოს, რომ აქა ვარ. ვინმეს ეტყვი და ჩაგაძაღლებ. მოგკლავ, იცოდე — დასაკარგი აღარაფერი მაქვს. კარგად დაიხსომე ესა. შენი შეშინება სულაც არ მინდა, მაგრამ, რაც გითხარი, დაიხსომე. მეტად არ გაგიმეორებ. ახლა მე სხვაგან კარზე ვერსად მივაკაკუნებ, აქ, შენს ფერხთით უნდა მოვიკალათო, შენს კაბას უნდა გამოვება. მე შენკენ მოვდიოდი. არც მამაჩემისკენ, არც დედაჩემისკენ არ მოვდიოდი, შენკენ მოვდიოდი, გაიგე. და არავინ — არც დედაჩემმა, არც მამაჩემმა, არ უნდა იცოდნენ ჩემზე არაფერი. ვითომ არც როდის ვყოფილვარ ამქვეყნად და არცა ვარ. ახლა შენს ხელში ვარ, შენს ხელში და სხვასთან არაფერი მესაქმება.
(ნასტენა ისევ ისე დაბნეული, შიშით უქნევს თავს).
შენა აბანო ჩემთვის გაახურე? ვიცი, რომ ჩემთვის გაახურე, ვიცი, არც მახსოვს, ბოლოს როდის დავიბანე ტანი (იხდის და წყალს ისხამს). მოდი, ნასტენ, მოდი, მარტო მე ვერ დავიბან, გამიჭირდება. ზურგი უნდა დამიზილო. არა, ხომ არ დაგავიწყდა, საყვარელ მამაკაცს ზურგს როგორ უხეხავენ, ჰა? სადა ხარ, ჩქარა ვერ მოხვალ?
(ნასტენა ახლოს მიდის მასთან, ანდრეი წელზე ეხვევა და თაროებზე წამოაქცევს).

ნ ა ს ტ ე ნ ა ს ხმა (სიბნელიდან). ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! რას შვრები, რას? ამნაირად როგორ შეიძლება?!
(მუსიკის ხმა. შუქი ინთება. აბურძგნულ-აწეწილი, კიდევ უფრო შეშინებული ნასტენა დგას პერანგისამარა. ანდრეი იცვამს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ნ დ რ ე ი. უფრო სუფთა საცვლები კი მინდოდა, ისე, თუმცა, რა მესაცვლება, დალახვროს ეშმაკმა. აგერ, გეტყვი მე შენ, რაც დამჭირდება პირველ რიგში. ხვალ დაისვენე, გამოიძინე და ზეგ ჩემი „ტულკა“ მომაწვდინე, დროზე ქენი, ვიდრე ნადირს არ შევუჭამივარ. ხოა სახლში ჩემი „ტულკა“. ეგ აუცილებლად მომიტანე, ასანთი, მარილი და საჭმლის მოსახარშად რაიმე ჭურჭელი გამოაყოლე. თოფწამალი, საფანტი მამაჩემს ექნება სადმე და წამოფხიკე. ოღონდ, არაფერი გაგიგოს. „ტულკაზე“ ნურაფერს ეტყვი. შენს ლუკმაზე მომიწევს ჯერჯერობით ჯდომა. თოფს როცა მომიტან, ხორცი მექნება, პური კიდე შენ უნდა მომიტანო ხოლმე. (დგება) აბა, მეყოფა ახლა. გავთბი, ჩემო ბატონო, ტანიც დავიბანე, ის კი არადა, ჩემი სიცოცხლე ქალის ალერსითაც გული ვიჯერე, ჰოდა, ნამუსიც კარგი საქონელია, წავედი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. საით გინდა წახვიდე?

ა ნ დ რ ე ი. საით და... ჩემს ღვიძლ ძმასთან მივდივარ, რუხ მგელთან. ზეგ გამოირბინე გაღმა, ანგარის იმ ნაპირზე, ქვედა საზამთრისში ვიქნები, ანდრეევსკისთან რომაა. იცი, ხომ? ჰოდა, იქ მოვილაპარაკოთ, რა და როგორ. არ დაგავიწყდეს — ზეგ გელოდები. ადრე ნუ წამოხვალ, ფრთხილად იყავ, არავინ დაგინახოს, უკან არავინ გამოგყვება. აბა, წავედი ახლა მე. შენა კიდე მაშინვე ნუ გამოხვალ, იყავი ერთხანს (გასვლას აპირებს, მაგრამ შეჩერდება). ცოტათი მაინც თუ გიხარია, ცოცხალი რომ დავბრუნდი, ჰა? (ნასტენა თავს უქნევს)
აბა, არ დაგვიწყნია, ვინცა ვარ შენთვის?
(ნასტენა ისევ თავს უქნევს)
ვინა ვარ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ქმარი ხარ.

ა ნ დ რ ე ი. ეგრეა: ქმარი ვარ (გადის).

ნ ა ს ტ ე ნ ა. (პაუზის შემდეგ), მართლა ეგ იყო? მართლა ჩემი ქმარი იყო თუ მომეჩვენა, ქმარი იყო, თუ მაქციერა, მაქციერა, მაქციერა! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!

## მეორე სურათი

## სესხზე ხელისმოწერა

ოდნავ შემაღლებულზე დგას მაგიდა, რომელსაც უსხედან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნესტორი და რაიცენტრის რწმუნებული, დარბაზში კი ტაბურეტებსა და სკამებზე სხედან სოფლელი ბერიკაცები და დედაკაცები. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრება დიდიხნის დაწყებული არაა.

ნ ე ს ტ ო რ ი. ეგრეა საქმე, დედაკაცებო, ეგრე! ოღონდ, არ დაიწყოთ ახლა სიუ-სიუ და სიუ-სიუ... ეს ვერ გავიგე და ის ვერ გავიგეო. ამხანაგმა რწმუნებულმა მართალი ბრძანა... ეს ომიანობის უკანასკნელი სესხია. ეგრეა, საბოლოო და სრული გამარჯვების სესხია, აბა! ისე რომ ვთქვათ, ჩვენებურად — ჰიტლერმა მოგჭამათ ჭირი, ხალხნო! ჰოდა, არ გვინდა ახლა, ესაო, ისაო, მოვრჩეთ, გავათაოთ. აბა, რიგრიგობით ჩავწეროთ. კამათები და პაექრობები არ დამიწყოთ ახლა აქა! ყველამ ყველაფერი კარგად იცით, პატარა არავინა ხართ, რომა, როგორც იტყვიან, მხოლოდ ერთხელ იყოთ განათხოვარი. აბა, ვინ დაიწყებს?

კ ა პ ი ტ ო ლ ი ნ ა. წლეულს რაღაც ძალიან ადრე ხომ არ მოგვდის ეგ ამბავი, ჰა? წინა წლებში შემოდგომაზე არა ვკრეფდით, კაცო!?

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. იმ წლებში ომის გაგრძელება იყო გათვალისწინებული, ახლა კი ომის დასასრულის ზღურბლზე ვდგავართ. ახლა თუ ვადები შემჭიდროვებულია, ამას თვით გამარჯვება გვკარნახობს. გვეყო თუ არ გვეყო, როგორ იტყვით, ამდენი ბრძოლა?

ნ ე ს ტ ო რ ი. აი, ასე უნდა გვესმოდეს ვითარება, ასე უნდა ვერკვეოდეთ... ასეთი პასუხი უნდა გავცეთ გარედან მოკამათეებს. ყოჩაღ, ამხანაგო რწმუნებულო, ყოჩაღ. მეორეჯერ გეკითხებით, ვინ დაიწყებს-მეთქი და გთხოვთ სიტყვას ბანზე ნუ ააგდებთ. ვინ დაიწყებს?
(სიჩუმე).
რისა გეშინიათ, ქალებო! დიდი გაუბედავი ვინმეები კი ხართ, ისე! ჰო, ბაიბურს არა ხართ, ქვეყანაზე რაცა ხდება. სათითაოდ გინდათ, ახლა, ხელი მოგაწერინოთ ობლიგაციაზე? (რწმუნებულს). ერიდებათ, ამხანაგო რწმუნებულო. მორიდებულნი გახლავან. კაცის თავი კალთაში ჯერაც არა სდებიათ! ჩვენ ამ საქმეს ახლავე დავადგამთ თავს, ახლავე. ეზო-ეზო ჩავუყვებით, ვისაც, ჩემო ბატონო, სადაც უნებებია სახლის დადგმა, მივადგებით თუ არა, თავის სახელს დაიძახებს. თვითონ დაიძახებს, თავისით... მა რა... ზემოთიდან, ბაგებიდან ჩამოვყვეთ, აჯობებს. ნება-ნება, დინჯად, აუჩქარებლად მოვყვეთ. ხელმარცხნივ, იქ, პირველი ალათია სომოვა იქნება. ალათია სადაა, ალათია?

ა ლ ა თ ი ა. სადა ვარ და აქა ვარ, მაგრამ მე ხომ იქიდან გადაველი.

ნ ე ს ტ ო რ ი. რაო? საით გადავედიო?

ა ლ ა თ ი ა. საითა და ქვემოთ.

ნ ე ს ტ ო რ ი. ეგ არაფერი, ზეით ხო იყავი. ნუ გვაყოვნებ, ახლა, გვითხარი, რამდენს კისრულობ.

ა ლ ა თ ი ა. შარშან რამდენზე მოვაწერე ხელი?

ნ ე ს ტ ო რ ი. მე, ალათია, ამ ჯიბით შენი მეხსიერება კი არ დამაქვს. შენი ამბავი შენ უნდა გახსოვდეს. აბა, ცოცხლად, ქალო! შენს ეზოში ხომ არ გავათენებ, მთელი სოფელი მელოდება.

კ ა პ ი ტ ო ლ ი ნ ა. არაუშავს, ჩვენ დაგელოდებით, ნუ იჩქარებ, გათბი ლუმელთან.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. ამხანაგო, სესხზე ხელისმოწერა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია. აქ კი ჩვენ მომენტს ვერ ვგრძნობთ, ვაწყობთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბაზარს. ნუთუ არ გესმით, ჩვენი დანაზოგი რასაც მოხმარდება?

კ ა ტ ე რ ი ნ ა. რა დანაზოგიო? დანაზოგი რომ მქონდეს...

ვ ა ს ი ლ ს ა. არ გაგვეხარდებოდა, თუ რა?..

კ ა პ ი ტ ო ლ ი ნ ა. არ გვესმის, თუ რა? რა აგიტაციას გვიწევთ ერთი.

კ ა ტ ე რ ი ნ ა. ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

ნ ე ს ტ ო რ ი. ალალებს არ ავაფრენთ, არავის დაუვალებია. ამხანაგმა რწმუნებულმა ადამიანის ენაზე გითხრათ: საქმეს პოლიტიკის სუნი უდისო. უდის და მერე როგორ უდის! უ-კა-მათოდ უდის, უ-კა-მა-თოდ! ახლა ომიანობის ხანაა, კამათი ღამღამობით შეგიძლიათ გაახუროთ.

კ ა პ ი ტ ო ლ ი ნ ა. ვისთან გავახუროთ, გვითხარი, თუ კაცი ხარ!

ნ ე ს ტ ო რ ი. გამოჩნდება ვინმე, ნუ გეშინიათ. ალათია სომოვა!

ა ლ ა თ ი ა. კაი, ჰო, ჩაწერე: სამასი მანეთი...

ნ ე ს ტ ო რ ი. ამხანაგო რწმუნებულო, ჩაწერე — ხუთასი. მხედველობაში მივიღოთ, რომ მარტოხელაა, ხანდაზმულია, ორი შვილი ფრონტზე ჰყავს. შენგან მეტი არაფერი გვინდა, მოვრჩით, ალათია სომოვა. აბა, მივყვეთ საქმეს. გვერდით, ამ აბანოს იქით, ლიზა ვოლოგჟინა ცხოვრობს, ხომ. აბა, ლიზა, ენას ნუ დაიბორკავ, ახლა ბრძანე, რამდენს ჩამოდიხარ?

ლ ი ზ ა. მილიონზეც სიხარულით მოვაწერდი ხელს, ჩემო კარგო, სადაა, თორე... არ იცი, არ იცი, როგორი სიხარულით...

ნ ე ს ტ ო რ ი. მაინც დაიბორკა ენა, მაინც. ბუჩქებში რას მიძვრები. რა გვერდზე მიერეკები? რას გააბი და გააბი? ფრონტზე თუ არიან შენები?

ლ ი ზ ა. არიან, იბრძვიან. სულ ახლახან მოიწერა, დავიჭერიო და...

ნ ე ს ტ ო რ ი. თუ გინდა, რომ შენი ფრონტელი ჩამოგივიდეს, არა, თუ გინდა?

ლ ი ზ ა. მინდა, აბა, არ მინდა? გადაირიე, თუ რა ამბავია, რას ამბობ, თუ გესმის?

ნ ე ს ტ ო რ ი. ჰოდა, თუ ეგრეა და... ათას მანეთზე უნდა მოაწერო ხელი. ხელები გააჩერე, ნუ იქნევ... ვერაფრით ვერ აფრინდები. ჩვენ ქათმები კი არა ვართ, სესხის ფრონტის ჯარისკაცები ვართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესხის ფრონტის... შენს ფრონტელს ხელის მომართვა სჭირდება, გასაგებია? სწორად ველაპარაკები ხალხს თუ არ ველაპარაკები სწორად?

რწმუნებული. სწორად ელაპარაკები.

ნესტორი. გამოგერგილი ვარ, ძმაო, ამ საქმეში, გამოგერგილი. ვერა ორლოვა!

(ვერა დგება. დუმს).

(ნესტორი მიუბრუნდება რწმუნებულს). ამანაა, ასე ვთქვათ, რო ააფრინა. შავი ქაღალდი რომ მიიღო, მაშინ... ეგ არაფერი, ვერა ორლოვა, ეგ არაფერი, შენა ჯერ ისევ ჯეელი დედაკაცი ხარ, ცხოვრება იმისაა, რომა ფეხს აგაყოლებინებს. ხალხისთვის თავი უნდა დავდოთ, ამხანაგო, მა რა... მესმის, განა არ მესმის, ერთის მხრივ, მწუხარე ხარ, მეორეს მხრივ — ახალგაზრდა ხარ, ვერა ორლოვა, ახალგაზრდა. რვაასი ჩავწეროთ. პოლიტიკური მომენტი პოლიტიკური მომენტია და მას ჩვენი სისუსტით წყალს ნუ შევუყენებთ. სისუსტისა და ცრემლებისთვის ოჯახური ვითარება გვაქვს, ეგრეა, ომიანობაა, ომიანობა.

(ვერა ჯდება. შემოდის ნასტენა).

მოდი, გადმოდგი ფეხი, ნასტენა. შენი რიგიც მოვა. აბა, ახლა ვისი რიგია მანდ? აქედან ქუჩის მეორე მხარეს გადავდივართ და პირველსავე ეზოში შევდივართ. ნადეჟდა ბერეზკინა (ხმაში სიმტკიცე აკლია). შენთან მოვსულვართ, ნადეჟდა, აქა ვართ, ხედავ. გისმენთ, რას გვეტყვი, ერთი. იცოდე, მიმდინარე მომენტი უნდა გაითვალისწინო.

ნადკა. (გამომწვევად), მოხვედით, აბა?

ნესტორი. მოვედით.

ნადკა. ჰოდა, რას ხედავთ ჩემთან?

ნესტორი. როგორ თუ რას ვხედავთ? რასაც უნდა ვხედავდეთ, იმას ვხედავთ.

ნადკა. ჩემს ბაღლებს თუ ხედავთ, თუ ხედავთ-მეთქი? ამათ, ამ ჩემს ბაღლებს, ჯერ იმხელა ხელ-ფეხი არა აბიათ, რომ დამეხმარონ, პირები კი დაბჩენილი აქვთ. ამ ჩემი დამშეული ბაღლების გარდა რამეს თუ ხედავთ? აი, ამ ბავშვებს ჩავდივარ, ჩაწერეთ, ჰო, ყველა ჩაწერეთ. ღმერთო, ოღონდ გაათავე და ამდენ წამებას გადამარჩინე, ასეთი რა შეგცოდე, რა დაგიშავე...

ვასილისა. რა გჭირს, ნადია, შე უბედურო! გონს მოდი, ქალო!

კატერინა. ბაღლებთან რა გინდა, ადამიანო? რაო, ბაღლები, ვითომ, მარტო შენა გყავს?

ალათია. ყველანი ვწვალობთ.

ნადკა. რა სიმდიდრეცა მაქვს, ის წაიღეთ. სხვა სულს იქით არაფერი მაბადია. ქმარი მოგეცით? მოგეცით — არ მენანება, გყავდეთ. კიდევ რა გინდათ, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

ნესტორი. ხუთასი ჩავუწეროთ.

ნადკა. მე, გინდა ხუთასი ჩამიწერეთ მანდ, გინდა ხუთი ათასი, ჩემთვის ეგ სულერთია, ქაღალდი რამდენსაც აიტანს, იმდენი ჩაწერეთ.

ნესტორი. წავედით, გზა გავაგრძელოთ. ვასილისა ჭკუისკოლოფო, შენი რიგია. რამდენზე აწერ ხელს, გვითხარი.

ვასილისა. (დინჯად, მედიდურად). ჯერ მე რატომ უნდა გითხრა... ჯერ ჩემი რიგი არაა.

ნესტორი. როგორ თუ ჩემი რიგი არააო?

ვასილისა. როგორა და როგორც დაგიბარებია, ჩემამდე აქა გუსკოვები ცხოვრობენ.

ნესტორი. კარგი, ჰო, გამომრჩა, მერე შევივლი იმათთან, ამით რა ქვეყანა იქცევა, რო?

ვასილისა. არა, ისე ვამბობ. რიგი თუა, რიგი იყოს. ჩემთან რომ შემოვარდი, რას შემოვარდი. ჯერ კარი გაგიღე, რო?

ნესტორი. აბა, ესეა საქმე? უკან დავბრუნდეთ, ვასილისა, არა? აი, ამხანაგო რწმუნებულო, ხედავ, ამნაირი ხალხიცა გვყავს.

რწმუნებული. რა ამბავია, მართლა და მართლა, მეფისდროინდელი გამოხდომების უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს: მე მე არა ვარ და ეს ხატაც ჩემი არააო, გესმით?

ნესტორი. კეთილი, კეთილი. გუსკოვებთან გავბრუნდებით. ფეხები არ დაგვაწყდება, მაგრამ დავიმახსოვრებთ. დავიმახსოვრებთ-მეთქი. ნასტენა! მზად ხარ, გვიპასუხო?

ნასტენა. მზადა ვარ.

ნესტორი. ჰოდა, გაათავე. ჩვენს აქეთ-იქით წოწიალში მოფიქრებისთვის დრო უნდა გყოფნოდა. თვითონ იტყვი, თუ ჩვენ გითხრათ?

ნასტენა. თვითონ ვიტყვი.

ნესტორი. გაათავე.

ნასტენა. ორი... ორი ათასი.

(ყველა გაიკვირვებს).

ალათია. ნასტენა, ამდენი რა ბაჯაღლო ოქროები იპოვე, ქალო!

კატერინა. ამდენი ფული სად იშოვე, ბარემ, ჩვენც გვითხარი და მოვბოჭავთ.

ალათია. ორი ათასზე ვაწერო! ორი ათას მანეთს ეხუმრებით! რაფერია!

რწმუნებული. (წამოდგება, აღტაცებულია). დამკვრელი ხარ, დამკვრელი! ნამდვილი დამკვრელი ხარ სესხის საქმეში!

ნესტორი. ესეც ასე, ამხანაგო კოლმეურნეებო! ესეც ასე, ამხანაგო რწმუნებულო! (მხარზე ხელს უთათუნებს) როგორც იტყვიან, ყველაზე შთამბეჭდავი ციფრი დაიძახა ამხ. ნასტენამ! ყოჩაღ, ნასტენა, ყოჩაღ! ქალებო! ნუ კი ყაყანებთ, ქალებო, მიბაძეთ ამხ. ნასტენას, მაგალითი აიღეთ ამხ. ნასტენასგან! მა რა! ქვეყანა გვიხმობს და ჩვენც წინ მივდივართ — მივრბივართ! ნუ შევანელებთ, ამხანაგებო, სიარულის — სირბილის ტემპს. შემდეგი! შემდეგი ვინაა მანდ?

ინოკენტი ივანოვიჩ. (ღირსების გრძნობით). მეც ორი ათასი ჩამიწერეთ. სხვების ზურგს უკან ჩანჩალს ჩვეული არ გახლავართ. მთელი ამ ომიანობის წლების განმავლობაში...

რწმუნებული. მართალი ბრძანებაა, ინოკენტი ივანოვიჩ.

ალათია. ამას მაინც რა მუცლის გვრემა ჭირს, ნეტა?! თუმცა, რა, ეგა ხო ინოკენტი ივანოვიჩი კი არა, ინოკენტი ფულოვიჩია.

კატერინა. ეგა? ეგა სამ ათასსაც ისე ჩაწერს, ანგარიშში კაპიკი არ დააკლდება.

ალათია. მაგის ჯიბეში რაც ფულია, აეროპლანს ისე ააშენებს, რო...

ნესტორი. (ისევ უთათუნებს მხარზე ხელს რწმუნებულს) აი, ამხანაგო რწმუნებულო, ხო ხედავ, ამისთანა ხალხიცა გვყავს, გვყავს და რა ვქნა! აი, ხო ხედავ, რანაირ ხალხს ვუძღვები — ვხელმძღვანელობ! ჩვენა კიდევა, მე და შენა, ეჭვი გვეპარებოდა — ხო გვეპარებოდა? გვეპარებოდა! — რომ ციფრი არ მოგვიგროვდებოდა. გვექნება ციფრი, გვექნება-მეთქი, ამხ. რაიცენტრის რწმუნებულო! შემდეგი ვინაა, ამხ. კოლწევრებო? გვეყოფა ახლა ეზო-ეზო წოწიალი, მოვრჩეთ. გზა და ბილიკი იმიტომ კი არაა, რო ზედ ვიაროთ!.. ეგრეა... მა რა... შემდეგი!

(ბნელდება. როცა სცენა განათდება, გამოჩნდება, რომ კრება გათავებულა და ხალხი იშლება).

ნასტენა. ნესტორ ილიჩ! (მიხედავს მაგიდიდან წამომდგარ რწმუნებულს) ა, ნესტორ ილიჩ! ხვალ ამხანაგ რწმუნებულს კარდაში ვინ წაყვება?

ნესტორი. (ხმამაღლა უძახის). ამხანაგო რწმუნებულო, ამხანაგო რწმუნებულო-მეთქი! აი, გესმის, ჩვენი დღევანდელი დამკვრელი სურვილს გამოთქვამს, რომ კარდაში ხვალ თქვენთან ერთად წამოვიდეს. რას იტყვით, ამხ. რწმუნებულო? საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

რწმუნებული. (მათთან მოდის, იმანჭება). აბა, რომელ მამაკაცს ექნება ასეთი რამის საწინააღმდეგო? პირადად მე რაც შემეხება, ამდაგვარ რამეზე ოცნებაც კი არ შემეძლო. (ნასტენას). არა, თქვენ მართლა გინდათ ჩემთან ერთად წამოსვლა?

ნასტენა. კარდაში წასვლა ძალიან მინდა, ძალიან...

რწმუნებული. დიდად მოხარული ვიქნები, აგრერიგ სასიამოვნო კამპანია გაგიწიოთ.

ნესტორი. ოღონდ, ამხ. რწმუნებულო, ამხ. ნასტენა უკან გამოუშვი, იცოდე! დიდხანს ნუ დააყოვნებ, მუშახელი ისედაც სანთლით გვყავს საძებნი!

ბნელდება.

## მესამე სურათი

## პირველი შეხვედრა საზამთრისში

სადა დეკორაცია: ტახტი, რკინის ღუმელი, ფანჯარასთან — პატარა მაგიდა. ადრე დილაა. ტახტზე სძინავს ქურქმოხურულ ანდრეის, ოღონდ ფხიზელი ძილით სძინავს, კარის ოდნავ გამოღებაზეც წამოვარდება და დამფრთხალი კუთხეში იჭუჭკება.

შემოდის ნასტენა, დაინახავს, როგორ შეეშინდა ანდრეის და შემბრალებლური, შემწყნარებლური ღიმილით იღიმება.

ნ ა ს ტ ე ნ ა. მეც აქა ვარ... მოვედი... გამარჯობა შენი, ასე ვთქვათ.

(ანდრეი არ პასუხობს)

ვიდრე შენ აქა გძინავს, კარდიდანაც ჩამოვედი, — აბა! მანქანაც შემხვდა, ის დალოცვილი! რაღაც-რაღაცეები ჩამოგიტანე შავი დღისთვის.

ა ნ დ რ ე ი. აწი მე სულ შავი დღეები მელის.

(დუმან. ნასტენა დგება).

სად მიდიხარ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ხომ უნდა შემოვიტანო ის რაღაც-რაღაცეები, თორე სულ გაიყინება.

ა ნ დ რ ე ი. მე შემოვიტან (გადის).

(ნასტენა თვალს ავლებს იქაურობას, ფანჯარაში იხედება და ფეხის ხმის გაგონებაზე, ზუსტად ისე, როგორც ანდრეი სურათის დასაწყისში, შეშინებული მოწყდება ფანჯარას. ანდრეის დიდი ფუთა შემოაქვს და მაგიდაზე დებს).

ნ ა ს ტ ე ნ ა. (ხსნის ფუთას). აგე, კარდაში ფქვილი გიშოვე. იჯექი ახლა და აცხე ლავაში. არა, კარდიდან ჩამოსვლა რომ ასე ძაან მომიხერხდა? (ხელებს ჩამოუშვებს, წყენით ჰკითხავს). რაო, ანდრეი, რა ამბავია, ასე რატომ მხვდები? არაფერს მეუბნები. ერთი სული მქონდა, ვიდრე შენამდე მოვაღწევდი, გაეხარდება-მეთქი... შენა კიდე... იქნება, გირჩევნია, რომ ახლავე წავიდე?..

ა ნ დ რ ე ი. (მიდის მასთან, ეხვევა). არსადაც არ გაგიშვებ! როგორ ფიქრობ, შენი მოსვლა არ მიხარია? მიხარია და მერე როგორ მიხარია, ნასტენა! ოღონდ, ჩემი სიხარული ახლა, იცი, რანაირი სიხარულია? ვერ გამირკვევია, მჭირდება იგი თუ არ მჭირდება, არც ის ვიცი, გამოვამჟღავნო თუ დავმალო. არ ვიცი, რა სჯობია.

ნ ა ს ტ ე ნ ა. რაზე ლაპარაკობ, ანდრეი, ასე? მე შენთვის უცხო ხომ არა ვარ? ჩვენ მთელი ოთხი წელი ვიცხოვრეთ ერთად, ოთხი წელი — განა ეს ცოტაა? ეჰ, ანდრეი, ანდრეი... ახლაღა დაგინახე წესიერად. დიდი უცნაური ვინმე ხარ ამ წვერებში.

ა ნ დ რ ე ი. რატომა ვარ უცნაური?

ნ ა ს ტ ე ნ ა. რაღაცნაირი ხარ, იცი? ქაჯს ჰგავხარ, ოჩოპინტრეს. მაშინ, აბანოში, ვერ გამევო შენ იყავი ჩემთან თუ ქაჯი, ოჩოპინტრე იყო. ჩემი კაცისთვის ვინახე თავი, ვინახე და ამ უწმინდურს, ტყისკაცს რას დავუწექი-მეთქი, გადავირიე ქალი.

ა ნ დ რ ე ი. ისე როგორი იყო ის უწმინდური, ტყის კაცი?

ნ ა ს ტ ე ნ ა. არა უშავდა. მაგრამ ჩემი კაცი სჯობია.

ა ნ დ რ ე ი. დიდი მაცვარანცხი ვინმე ხარ, არც ქმარს აწყენინე და არც ტყისკაცს, შემდეგ მოსვლაზე საპარსი მომიტანე, ამ ჯაგარს დავიყრი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. რატომ?

ა ნ დ რ ე ი. რატო და უწმინდურს, ტყისკაცს არ მინდა ვგავდე. თუმცა, არა, არ მოვიპარსავ. დამთრევდეს, რა. ისევ ქაჯსა და ტყისკაცს ვგავდე, მირჩევნია.

ნ ა ს ტ ე ნ ა. (მაშინვე იგრძნობს, ანდრეის რომ გუნება წაუხდა). ღმერთო ჩემო, გამოვშტერდი ქალი. სალაქლაქოდ მოვედი აქ, თუ კაცს საჭმელი უნდა ვაჭამო? მეც ქალი ვარ, რაღა! აი, რას ნიშნავს, რომ კარგახანია არავის მივუტყუებივარ.

ა ნ დ რ ე ი. რაო, როგორა თქვი, არავის მივუტყუებივარო?

ნ ა ს ტ ე ნ ა. სწორი არა ვთქვი?

ა ნ დ რ ე ი. რაო, ხომ არ მოგენატრა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. არავინ მყავდა, რომ ჩემთვის ჭკუა ესწავლებინა.

ა ნ დ რ ე ი. ჩაი ხომ არ მოგვედუღებინა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. მოადუღე მერე, რას დამდგარხარ სარგადაყლაპულივით. წყალი არ გეშოვება, თუ რა? (აწვდის ჩაიდანს. ანდრეი წაიწევს, რომ მოეხვიოს, მაგრამ ნასტენა გაუსხლტება). არ ჩაგივა ფეხი! არ ჩაგივა ფეხი!

ა ნ დ რ ე ი. რაო, რაო?

ნ ა ს ტ ე ნ ა. რაო, რაო და, არ ჩაგივა ფეხი, არ ჩაგივა ფეხი!

ა ნ დ რ ე ი. ერთი ამას დამიხედეთ, რა გამიხსენა! (მოეხვევა ნასტენას).

ნ ა ს ტ ე ნ ა. (გაერიდება). გეყოფა, ანდრეი, ნუ გახურე ძველებური. მაცა, ერთი კიდე კარგად შეგხედო, ადამიანო, უშენოდ, უშენოდ მელე ჭაკივით ვიყავი, ანდრეი, მელე ჭაკივით! მათრახს ნუ დაარტყამ ამ ჭაკს, ანდრეი, ჭენებით წელს ნუ მოწყვეტ. მე ახლაღა ვირწმუნე, რომ ეს შენა ხარ და მე შენს გვერდითა ვარ, შენს გვერდით. ჰოდა, ისე კარგად ვგრძნობ თავს, ისე მშვიდად, რო... ბუმბულივითა ვარ, საკუთარ სხეულს ვერა ვგრძნობ (იცინის). იმდენად კარგადა ვარ, იმდენად, რომ თვალზე რული მეკიდება, ძილი მერევა. ღამე სულ არ მიძინია. სალამოსპირზე მივწექი, მაგრამ, ვიფიქრე, რაღა დროს ძილია, დროს რატომ ვკარგავ, შევაბამ ცხენს მარხილში და ჰაიდა-მეთქი...

ა ნ დ რ ე ი. მიწექი, მოუხუჭე თვალი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. არა, მართლა ხომ არ მივწვე ცოტახანს?

ა ნ დ რ ე ი. მიწექი, მიწექი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ხელს არ შემიშლი?

ა ნ დ რ ე ი. ვნახოთ.

ნ ა ს ტ ე ნ ა. (ტახტზე მიწვება, მაგრამ მაშინვე წამოდგება). მაჩვენე, სად დაიჭერი...

(ანდრეი პერანგს გადაიწევს).

სულმთლად შეგიხორცდა? ხომ არ გტკივა?

ა ნ დ რ ე ი. ახლა უკვე არა მიშავს. ოღონდ, მტეხს ხოლმე. განსაკუთრებით ავდარში. თითქოს, რაღაცა მაქვს სხეულში გაყრილი და ხვანხვალებსო. ვერა და ვერ შევეჩვიე ჯერ.

ნ ა ს ტ ე ნ ა. საცოდავი ჩემი ქმარი. გკლავდნენ, აბა!

ა ნ დ რ ე ი. (აწვენს ლოგინზე). კარგი, წაუძინე.

(ნასტენას თვალზე რული ეკიდება. ანდრეი გახურებული ღუმელის ახლოს ჯდება, ცეცხლის შუქი სახეზე დასთამაშებს. შემდეგ ის შუქი ატკარცალდება, მაშხალის ნაკვერჩხლებად ცვივა, შორიდან ისმის კანონადის ექო, ყვირილი— ოღონდ ექო და ყვირილი არამცდაარამც არ უნდა იყოს ხმამაღალი. ხმაური სულ უფრო და უფრო ნელა ისმის და, ბოლოს, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება. ჰოსპიტალი. შემოდიან ქირურგი და მედდა).

ქ ი რ უ რ გ ი. გვარი?

მ ე დ დ ა. გუსკოვი.

ქ ი რ უ რ გ ი. გუსკოვი... გუსკოვი? რომელი, ის გუსკოვია?

მ ე დ დ ა. ჰო, ისაა.

ქ ი რ უ რ გ ი. რაო, როგორა გრძნობ თავს, მეგობარო?

მ ე დ დ ა. ძალიან სუსტადაა ჯერ.

ქ ი რ უ რ გ ი. მომეცით სურათები.

(მედდა სურათებს აწვდის, ქირურგი ათვალიერებს). ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, ჩემო ძმაო. მართალი გითხრა, როცა ჭრილობას გიკერავდი, მაინცდამაინც არ მჯეროდა, თუ გადარჩებოდი. გიხარია, ჩემო ძმაო, ამდენი რკინა რა ამბავი იყო, ერთი კაცისთვის ნამეტანია.

(ისევ მოისმის ბრძოლის ხმაური, ისევ თიმთიმებს ათინათი და მოგონებას გუსკოვი ისევ ჰოსპიტალში გადაჰყავს). რამდენი ხანია ფრონტზეა?

მ ე დ დ ა. (ქაღალდებში იხედება). პირველივე დღიდან.

ქ ი რ უ რ გ ი. აქამდე დაჭრილი არ ყოფილა?

მ ე დ დ ა. ორჯერ.

ქ ი რ უ რ გ ი. აბა, მე მგონია, ეყოფა. ღმერთი სამებითაა, ნათქვამია. სამი ჭრილობა — უკვე სრული კომპლექტია. ვინც პირველი დღიდანვე ფრონტზეა, იმათთვის რაღაც განსაკუთრებული დადგენილება ხომ უნდა გამოვიდეს. ღმერთს არ სდომებია კაცის მოკვლა და შენც ნუ კლავ, გაუშვი, იცოცხლოს.

(კრებიან. გუსკოვს გვერდით უზის თავშეხვეული დაჭრილი).

დ ა ჭ რ ი ლ ი. ორიოდე კვირით, რასაკვირველია, კი უნდა გაუშვან შინ. შემდეგ, ცოტას დაისვენებს და სად წავა, ისევ დაბრუნდება ფრონტზე. აგრე უნდა იყოს. შენა შორს ცხოვრობ? რაო, ციმბირელი ხარ? აბა, ციმბირელი თუ ხარ, მოსულხარ სახლში, დაესაა...

(გადის).

ა ნ დ რ ე ი ს ხმა. ჰოსპიტალში მოსვლა არაა საჭირო, ნასტენა. მოვმჯობინდები და მე თვითონ ჩამოვალ მანდ. ახლა უკვე ცოტაღა დარჩა. მელოდეთ. მელოდე, ნასტენა, მელოდე.

(ისმის ორთქლმავლის ხმა, რომელიც მაშინვე მიწყნარდება. გამოჩნდებიან ქირურგი, მედდა, პოდპოლკოვნიკი).

პ ო დ პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი. გვარი?

მ ე დ დ ა. გუსკოვი.

პ ო დ პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი. დიდიხანია თქვენთანაა?

მ ე დ დ ა. სამი თვეა.

პოდპოლკოვნიკი. (ქირურგს). ესეც უკვე თითქმის ნახევარი წელი ყოფილა აქა. რომელსაც გინდა, დაადე ხელი, სამი, ოთხი, ხუთი თვე წევს. რაო, კურორტი გაქვთ აქა, თუ რა ამბავია? იქ კიდევ ჩვენა ყოველ კაცს თითზე ვითვლით. ომია, ბატონო, ომი. იგი ჯერ კიდევ გრძელდება, პოლკოვნიკო.

ქირურგი. გუსკოვი მძიმედაა დაჭრილი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ორი ოპერაცია გავუკეთეთ. უნდა დავასვენოთ კაცი.

პოდპოლკოვნიკი. შეხედეთ, ამ თქვენი ოპერაციის შემდეგ ლოყები როგორ დაებრაწა (გადაჭრით). ფრონტზე გაუშვით.

ქირურგი. ამისთვის კომისიის დასკვნაა საჭირო, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

პოდპოლკოვნიკი. გექნებათ კომისიის დასკვნა, უეჭველად გექნებათ.

ანდრეის ხმა. რატომ მიშვრებით ამას, რატომ? ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! ჩემი სახლი ხომ აქვეა, ყურისძირში. ერთი კვირაც მეყოფა, ერთი კვირა რა დიდი ამბავია... მივივლ-მოვივლიდი, გავიხარებდი ცოტას. მერე, მერე, საითაც გინდათ, იქით გამაგზავნეთ, თქვენი ნება არაა? ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

პოდპოლკოვნიკი. (გვერდზე გადის). ფრონტზე-მეთქი!

ანდრეის ხმა. მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა, უსამართლობა... რატომ მიშვებით ამას. სამი წელია, ვიბრძვი, რამდენი წელი უნდა ვიბრძოლო კიდე, არ მეყო?!

ქირურგი. გუსკოვ, ეტყობა, მეც მანდედა მაქვს გზა. ეს სამი წელია, სულ ვთხოულობ — არ მივყავდით.

(ქრებიან. ბრძოლის ხმაური, ყვირილი ისმის).

პირველი ხმა. პირველი! პირველი! გუსკოვ! რატომ დუმს პირველი? რა გჭირთ მანდ? გუსკოვ!

მეორე ხმა. ახლავე, ახლავე, ამხანაგო მეთაურო. გუსკოვ... ეგა... არ ინძრევა, გუსკოვი აღარაა, ამხანაგო მეთაურო.

ანდრეის ხმა. ტყუილია, როგორ აღარა ვარ. მე არ უნდა მოვკვდე, მე უნდა ვიცოცხლო, მე ეს დავიმსახურე...

(ორთქლმავლის საყვირი. გამოჩნდება ტანკისტი).

ტანკისტი. შენა საიდანა ხარ?

ანდრეის ხმა. ირკუტსკელი ვარ, ანგარელი.

ტანკისტი. (გაეხარდება). მე კიდევ ჩიტელი ვარ. აბა, ერთად წავსულვართ. მომეშველე, თუ კაცი ხარ. ჩახტი, ჩქარა ჩახტი.

ანდრეის ხმა. (აჩქარებით). კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ამისთანა? ხალხი ვიცი, თვითნებობდა, რას არ აკეთებდა... ყველას ყველაფერი ხახვივით შერჩა და მე რომ ერთი-ორი დღით... ასე ვქნა, ქვეყანა დაიქცევა?

(ისევ ორთქლმავლის საყვირი).

ტანკისტი. (გახარებულია). წა-ვე-დით! შენ სულ გამოგიშვეს თუ ცოტახნით?

ანდრეის ხმა. (მატარებლის ტაქტის აყოლებით). მე? მე სულ გამომიშვეს — ცოტა ხნით... სულ წამოვედი — ცოტა ხნით...

ტანკისტი. რა ცხვირი ჩამოუშვი, არტილერიავ?

ანდრეი. უკვე მთელი ერთი დღე-ღამით ვიგვიანებთ.

ტანკისტი. ეგრეა, უფრო ჩქარა ვერ ივლის. ახლა დასავლეთისკენ იგვიანებენ, აღმოსავლეთზე ვინ ლაპარაკობს (ქრება).

ანდრეის ხმა. (სასოწარკვეთით). ცუდადაა ჩემი საქმე! ცუდადაა! ცუდადაა! ცუდადაა!

(ბნელდება. როცა შუქი აინთება, ნასტენა და ანდრეი განაგრძობენ ცოტა ხნის წინ დაწყებულ საუბარს).

ნასტენა. (არც მთლად დარწმუნებით ამბობს). აგერ, ომი დამთავრდება და, იქნება, გაპატიონ.

ანდრეი. არა, ასეთ რამეს არ პატიობენ. ამისთვის, დახვრეტა და შემდეგ ისევ გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს, სამჯერ გამაცოცხლებდნენ და სამჯერ დამხვრეტდნენ. სხვების ჭკუის სასწავლებლად იზამდნენ ასე. ჩემი ბედი მორჩა, გადაწყვეტილია, და ახლა ტყუილია თავის დაძვრენისთვის ჩალიჩი. მოვდიოდი და ვფიქრობდი; მივალ, ნასტენას ყველაფერში გავუტყდები, ვაღიარებ დანაშაულს, მამასა და დედას ერთს შორიდან შევავლებ თვალს და ჰაიდა, ნამქერში ვდურთავ თავს-მეთქი. მერე ნადირი და მისი ჯანი — იცოცხლე, დამტკვერავენ-მეთქი. მაგრამ შენს გვერდით ასე თუ ვიდგებოდი, ამის გაფიქრებაც კი არ გამიბედავს. ამ დღეს თუ მოვესწრებოდი, ამხელა ბედს თუ ვეწეოდი არ მეგონა. აი, თუნდაც ამისთვის, თუნდაც ამისთვის, ხვალვე რომ დამხვრიტონ, ხელის გულზე უნდა გატარო, ნასტენა.

ნასტენა. ნუ, ანდრეი, ნუ...

ანდრეი. დამაცა. რაღაი დავიწყე, დავამთავრებ კიდევ. სხვა დროს შენთან საუბარი, იქნებ, არც მიწერია. უთქმელს არაფერს დავიტოვებ, რაში გამომადგება, რო! სუ ბოლომდე გაგიხსნი გულს. ცოტა ხანს დავრჩები აქ-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ზაფხულამდე არ მიშვებს გული აქედან. ამ ერთხელაც, ბოლოს, მინდა ვნახო ზაფხული რანაირია. შენც გამითბე ძვალრბილი, ნასტენა და სიხარულით ამავსე. შენგან ბევრი არაფერი მინდა, ნასტენა. ისედაც ამდენი რამ გააკეთე ჩემთვის. ეს თვეებიც მოითმინე როგორმე, არავინ არაფერი შეგატყოს. შენ ჩემთვის ბევრი რამ გადაიტანე, ბევრ რამეს გაუძელი, მოდი, ამ ერთსაც გაუძელი, ნასტენა (დუმან). ხალხში ჩვენ აწი ერთად თავი არ გამოგვეყოფა. დღის სინათლეზე ერთად გამოჩენა ჩვენ არ გვიწერია. როცა მოგინდება, როცა შეგებრალები, მოდი. მე კი ვილოცებ, რომ შენ მოხვიდე ჩემთან. ხალხს მე თვალში ვერ შევხედავ, სიკვდილის წუთებშიც კი ვერ შევხედავ. სხვას თუ ვერაფერს გავაწყობ, ამას მაინც შევძლებ; არ მინდა, რომ შენ. მამაჩემს, დედაჩემს სახეში გაფურთხონ, არ მინდა ჩემი კვალი ძაღლებმა ეძებონ სუნით, არ მინდა, დედის სული მიტრიალონ, არ მინდა... და შენ, ნასტენა, არასოდეს არავის არ ეტყვი, არც ახლა, არც შემდეგ, რომ მე ამ მიდამოებში ვიყავი. არასოდეს არავის არ ეტყვი, ნასტენა. თორემ, იცოდე, ენას ამოგაგლეჯ იმ პირიდან და ხელში დაგაკავებინებ.

ნასტენა. რატომ მელაპარაკები ასე, ანდრეი?

ანდრეი. მე შენ არ გაშინებ. მე შენ რატომ უნდა შეგაშინო, ნასტენა?! შენ ხომ ჩემთვის ბნელში შემოჭრილი მზის სხივი ხარ. მაგრამ გახსოვდეს, ყოველთვის გახსოვდეს, ცოცხალი ვიქნები თუ მკვდარი, რაცა მჭირს. შემდეგ, როცა ყველაფერ ამას ბოლო მოეღება, შენ შენს ცხოვრებას ააწყობ. უნდა ააწყო, ნასტენა, უნდა ააწყო, შენ ამისთვის დრო დაგრჩება. და, იქნებ, როდესმე შენ ისე კარგადაც იგრძნო თავი, რომ შენი ბედნიერებისთვის სულ ბოლომდე გადაუშალო გული ხალხს, არავის არაფერი დაუმალო. შენი საქმე შენ იცი, ოღონდ ამას კი ნურავის ეტყვი, ნურავის. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც სიმართლე იცის ჩემზე. სხვებმა კი, სხვებმა, რაცა სურთ, ის იფიქრონ. შენ იმათთან ხელი არა გაქვს.

ნასტენა. რითი დავიმსახურე, ანდრეი, რითი, რომ ასე მელაპარაკები?

ანდრეი. არაფრით არ დაგიმსახურებია, ნუ გამიბრაზდები, ნუ. მე ვიცი, რომ შენ გამიგებ. ყველაფერს ისე გაიგებ, როგორცაა. სხვა დროს მე, ალბათ, ასეთ საუბარს არ დაგიწყებდი, ახლა კი სხვა გზა არა მაქვს. ახლა თვითონვე ვერ გამიგია, რას ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ. თითქოს, მე კი არ მიდგა სული, ვიღაც შემომძვრალა ჩემს ტყავში და თავის ჭკუაზე მატრიალებს. მე მარჯვნივ უნდა გავუხვიო, ეგ კი მარცხნივ მახვევინებს! თავს ზემოთ რა ძალა მაქვს, უნდა მოვითმინო, ცოტაღა დამრჩენია, ცოტაღა.

ნასტენა. სულ საშინელ-საშინელ რაღაცეებს რატომ ლაპარაკობ?..

ანდრეი. ნუ გეშინია. მე შენ კი არ გაშინებ, — თავს ვიშინებ. თუმცა, რა თავის შეშინება მჭირდება. უფრო მეტი საშინელება რა იქნება, შენ რომ გიყურებ, იმან დამადედლა აგრე, ნერვებმა მიღალატა, სამაგიეროდ, რაც სათქმელი მქონდა, ყველაფერი გითხარი, გაგაფრთხილე რა უნდა თქვა და რა — არა. მე მოვრჩი. და ცოტა მომეშვა გულზე, ახლა შენ ილაპარაკე.

ნასტენა. მე რა უნდა ვილაპარაკო?

ანდრეი. დედაჩემი როგორაა, თუ დადის?

ნასტენა. დადისო? დადის როგორ ელია. ერთი შეგახედა! ყავარჯნებით დადის. მამაშენმა ყავარჯნები გამოურანდა, ჰოდა, დგას ზედ და დადის. სულ იმ ყავარჯნებს წყევლის, მაგრამ მაინც იმით დადის.

ანდრეი. მამა ისევ ისე სულ თავლაშია?

ნასტენა. სულ იქაა. ეგ რომ არ იყოს, ცხენებს სუ გაწყვეტდნენ. მაგის მეტი ცხენების მიმხედავი არავინაა. ეგეც მოტყდა ახლა, გუშინწინ იყო და მეც შევშალე.

ანდრეი. რა მოხდა?

ნასტენა. რა მოხდა და სესხზე მოგვაწერინეს ხელი. მე ავურიე და მერე როგორ ავურიე: ორი ათას მანეთზე ვაწერ-მეთქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს. რა მენაღვლებოდა რა, რაც არ მქონდა, რატომ უნდა დამნანებოდა.

ა ნ დ რ ე ი. მოხუცებს ჯერ ნუ მიატოვებ. ღედაჩემი, ალბათ, დიდხანს ვერ გაძლებს. როგორმე თვალი გეჭიროს იმათზე, მიხედე.

ნ ა ს ტ ე ნ ა. რას აპირებ, ანდრეი, ჰა, რას აპირებ? იმათ ხომ იმედი აქვთ: ანდრეი სადაცაა მოვა, მოგვწერს, სადაა. ომი რომ დამთავრდება და შენ არ გამოჩნდები, რა უნდა იფიქრონ? იმათ ხომ მხოლოდ შენი იმედით უდგას სული.

ა ნ დ რ ე ი. (იფიქრებს), იმედი, არა! რა იმედი, რის იმედი... არც არაფრის იმედი იმათ არა აქვთ. მორჩა. ამას არ ვამბობდი ეს წუთია? ეგა კიდე, მე სადა ვარ, რა ესეთი ღიდი ამბავია. ათასობით ადამიანია უგზოუკვლოდ დაკარგული. ზოგი ცაში დაიწვა, ზოგი მიწაშია, ზოგს, ვინ იცის, სად აწოწიალებს ბედი. ზოგი იმალება, ზოგს სულ არ ახსოვს თავისი არსებობა — თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ ამ ცხოვრებას. ჩემი საქმე როგორც დატრიალდა, კი ხედავ: ვარ თუ არა ვარ, ვერ გამირკვევია. თითქო ვარ და არცა ვარ. ჩემს ბებრებს დიდი დღე არ დარჩენიათ, ბევრი ლოდინი არ მოუწევთ. იქ, იმქვეყნად შევხვდებით და ვიმასლაათებთ. იქნებ, ომი იქ მაინც არ იყოს. აქ კი, გინდ ძლიერი იყავი და გინდ სუსტი, შენი თავის იმედითღა უნდა იყო, შენი თავის იმედითღა (დუმან). მეტყვის ვინმე. შენი შვილი ან ქმარი ზუსტად სადაც მარხია იმის ცოდნა სჯობია თუ ისა სჯობია, სულ არაფერი იცოდეო. ცოლმა, ახალი ცხოვრება რომ ააწყოს, ალბათ, უნდა იცოდეს, სად მარხია მისი ქმარი. შენ თუ ვერ გადარჩი, იმას რას ერჩი: გაუშვი, გაიხაროს. რატომ უშლი? აი, დედისთვის, დედისთვის რა სჯობია? ბევრი დედა დათანხმდება ისე იცოცხლოს, რომ თავისი შვილის გზა-კვალი არ იცოდეს? დედა დედაა, იმას შავი ქაღალდიც რომ მოუტანო, შვილის სიკვდილს არ დაიჯერებს. აგერ, ა, აგერ მარხია შენი შვილიო, ეუბნებიან და არ სჯერა. ჩემი ხელით დავმარხეო, წერს შვილის ამხანაგი და გაგონება არ უნდა. ჰოდა იმ ჩემი ბებერი დედ-მამისთვისაც იმედის მკრთალი სხივი მაინც ბჟუტავდეს. რაკი სხვა შუქი, სხვა ნათელი მათ ვერ დავანახე... ეჰ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. შენც მალე უნდა წახვიდე. წახვალ თუ დარჩები?

ნ ა ს ტ ე ნ ა. აბა, როგორ დავრჩები? მე ხომ, ანდრეი, შენ თოფწამალი და საფანტი მოგიტანე, კანალამ უკან არ წავიდე?! აჰა (ფუთიდან ტომსიკას იღებს). ნახევარი დაიტოვე, ნახევარს მამაშენს მივუტან — იმან დამავალა, მიშოვნეო.

ა ნ დ რ ე ი. (გახარებულია). მე ნახევარიც თავზე საყრელად მეყოფა. ახლა კაცი ვარ კაცური. ახლა ეშმაკისაც არ მეშინია. ხელის დამშვენება თუ გინდა, ესაა. ეს რა ძღვენი მომიტანე, ჩემო ოქრო ქალო! თვითონ შენი თავი მაჩუქა იმ დალოცვილმა ბედმა (ხელს შემოხვევს და ატრიალებს). ასეთი ქალი გვერდში გყავდეს და სოროში იმალებოდე, სადაური იღბალია ასეთი ქალი გვერდში გყავდეს და ბედნიერი არ იყო?

ნ ა ს ტ ე ნ ა. კარგი, გეყოფა. ხვევნასა და მოფერებას გადაჩვეული ვარ, ადამიანო.

ა ნ დ რ ე ი. შემოირბინე ხოლმე, შეგაჩვევ და მეტსაც გიზამ.

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე კი ყოველდღე შემოვირბენდი, მაგრამ...

ა ნ დ რ ე ი. რას იზამ (ჯიბიდან იღებს საათს). აი, ნასტენა!

ნ ა ს ტ ე ნ ა. დედა, რა კარგი რამეა!

ა ნ დ რ ე ი. აიღე, ეს საათი გერმანელ ოფიცერს შევხსენი. ცოცხალს, მკვდარს კი არა. საათი მე აწი არც არაფერში მჭირდება, შენ კიდე გამოგადგება. გაყიდვას თუ დააპირებ, იაფად ნუ შეელევი: კარგი საათია, შვეიცარულია.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ამის ხელში აღებაც კი მეშინია.

ა ნ დ რ ე ი. აიღე, გამომართვი. სხვა შენთვის მოსაცემი არაფერი მაქვს.

(აცილებს) კიდევ მოხვალ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. მოვალ, ანდრეი, მოვალ. შემოგირბენ ხოლმე. ახლა უკვე გზა ვიცი.

ა ნ დ რ ე ი. როცა გული არ გამოგიწევს, ნუ წამოხვალ. ძალას არავინ გატანს. არ შეიძლება. მე კიდე ვავძლებ როგორმე, ეს დღე კაიხანს არ მომკლავს.

(ბნელდება).

## მეოთხე სურათი

## მაქსიმე ვოლოგჟინის შეხვედრა

ხმაურიანი და საზეიმო სოფლური სუფრა. ხალხი შექეფიანებულია, არის ერთი ყაყანი და ხორხოცი, ერთმანეთს ყურს არ უგდებენ. სუფრის თავში ზის მარჯვენაშეხვეული, მშობლიურ სახლში დაბრუნებითა და ყველაფრით ბედნიერი, სახეგაბადრული მაქსიმ ვოლოგჟინი. მის გვერდით კალათდება ნესტორი, რომელიც ლიზას ავიწროებს.

ნ ე ს ტ ო რ ი (შესამჩნევად მთვრალია). ამხანაგო კოლმეურნეებო, ჩუმად, ამხანაგო კოლმეურნეებო! მოდით, ერთიც დავლიოთ, ფრონტელი კაცი ერთხელაც ვადღეგრძელოთ. როგორც იტყვიან, შევიყვანოთ ჭაჭაში და ჭიქა გავაღედიშობილოთ. ფრონტელი ჩამოგვივიდა და მერე რა ფრონტელი! ლიზა! რატომ უსხია ყველას ღვინო და მე კი არ მისხია! რატომ არ აქცევ ყურადღებას შენს თავმჯდომარეს?

ლ ი ზ ა. ამ წუთში არ დაგისხი?

ნ ე ს ტ ო რ ი. მე კი არა, შენა ეფიმს დაუსხი. რაღაი ასეა საქმე, მორჩა, კოლმეურნეობას ფრონტელს გადავაბარებ და ამით გათავდება საქმე. მე ჩემს წინაშე დასახულ ამოცანას თავი კარგად გავართვი — უკლებლივ ყველა ფრონტელის ცოლი ხელუხლებლად, უმანკოდ მოვიყვანე აქამდე. ახლა შემიძლია უკვე სხვას გადავაბარო საქმე. ფრონტელს გაუმარჯოს, ფრონტელს!

(სვამს).

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. (მაქსიმს). შენა, მაქსიმ ეფიმიჩ, ამერიკანელები თუ გინახავს, ჰა?

მ ა ქ ს ი მ ი. არ შემხვედრიან.

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. რა ხალხია ეგენი? კარგად თუ იბრძვიან, თუ კაცი ხარ, ხომ არაფერი გაგიგონია? თუ მშიშარა ხალხია?

პ ა პ ა ე ფ ი მ ი. ამერიკანელს თურქთან არ უომია, ახლა გერმანელს შეებრძოლა პირველად — ჰოდა, მაგარი მებრძოლი საიდან იქნება? ეგა სულ ქალის კაბას იყო გამობმული და ბრძოლაში გაწაფული საიდან იქნება?

მ ა ქ ს ი მ ი. ეგენიო, ამბობენ, კარგად იბრძვიანო, ეშმაკურად. თავიანთ ხალხს უფრთხილდებიან, ომში ეგენი ცოტანი თუ იხოცებიანო. ერთი, ხო არაფერი გაგიგია, იმათთან რევოლუცია მალე იქნება?

მ ა ქ ს ი მ. არ ვიცი.

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. მალე უნდა იქნეს. თვალში სინათლე თუ არ აკლიათ და ჩვენს ყოფას თუ ხედავენ, არ უნდა დააყოვნონ და თავიანთ სახლში ხანძარი უნდა დაანთონ. ეგენი მეომარი ხალხიაო, ამბობ შენა. თუ ასეა, რევოლუცია არ უნდა გაუჭირდეთ. ჰოდა, ჩვენ და ეგენი ერთად ვიქნებით.

ნ ე ს ტ ო რ ი. ჭეშმარიტად!

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. მაშინ იმათთან მისვლა-მოსვლა კოლიმით შეიძლება, თუკი პირდაპირი კავშირი დამყარდება...

პ ა პ ა ე ფ ი მ ი. იმასა, ამერიკანელსა, მიწაც სამყოფადა აქვს.

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. პირი რომ შევკრათ და ერთად ვხნათ და ვთესოთ, კარგი იქნება. მაშინ შესაძლებელი იქნება ჩვენს ბოსტანში კომბოსტოზე სხვა ქვეყნებიც შევუშვათ. აი, იტალიაში ხომ რბილი კლიმატია, მაგრამ რად გინდა, რა, იქ უბრალო, მშრომელი ხალხისთვის ამისთანა შეუფერებელი რეჟიმი რატომაა?

მ ა ქ ს ი მ ი. (საუბარი სხვა თემაზე გადააქვს) რაო, ნასტენა, მალე ელოდები შენს ქმარს?

ნ ა ს ტ ე ნ ა. (დაბნეულად) არ ვიცი. უკვე აღარც მჯერა, როდესმე თუ ვნახავ. უკვალოდ დამეკარგა ქმარი...

მ ა ქ ს ი მ ი. რაო, ანდრეი დაიკარგაო?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ჰოსპიტალში იწვა... დაჭრილი იყო... იქიდან ისევ ფრონტზე წავიდა. წავიდა და აღარა ჩანს. მას მერე არაფერი გამიგია. არაფერი ვიცი.

ი ნ ო კ ე ნ ტ ი ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ. ეგა, ანდრეიზე ვამბობ, მართლა სერიოზულად დაიკარგა. მოვიდნენ იქიდან, იძიებდნენ, სად დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგაო, როგორ დაიკარგაო. თურმე, არსად დოკუმენტებში არა ჩანსო.

მაქსიმი. ალბათ, რომელიმე სხვა ნაწილს გადაეყარა გზაზე და იმათ წაჰყვა. ერთხელ და ორჯერ მომხდარა ამისთანა ამბავი. თუ! წერილი კი ყოველთვის როდი მიდის თავის ადგილზე, აი მე ჰოსპიტლიდან მოვიწერე, ჩამოვდივარ-მეთქი, მაგრამ წერილი არ მიუღიათ, და ლიზამ, რომ დამინახა, კინაღამ ააფრინა. არ მელოდა ქალი!

ლიზა. (ნეტარებით). აბა, კაცო! არც წერილი მომსვლია და არც არაფერი. მე და ნასტენა მინდორში ვართ და ქერს ვანიავებთ. მესმის: სოფელში ატყდა ერთი ყაყანი... რა ხდება-მეთქი? ის იყო, ნადკაც მოვარდა...

ნადკა. ის ჩემი პარაზიტი კი ვერ გადარჩა. ამდენი ბალღი მომიხროვა და... მამაცთა სიკვდილითო, ესაო, ისაო. მაგის მამაცთა სიკვდილით მე რა თავში ვიხალო ახლა? რას მომჩერებიხართ, რო? მართალს არ ვამბობ, თუ რა? ოცდაშვიდი წლისა ვარ. ოცდაშვიდი წელი, გაწიე-გამოწიე, ოცდაშვიდი წელია და ოცდაშვიდი წლისა ყველაფერს მოვრჩი. ცხოვრება თვალსა და ხელს შუა გამიქრა. ერთი ფაეტონი ბავშვები სახლში მყავს და ვინ ოხერი წამიყვანს? ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი და ჯანდაბას.

ვასილისა. მარტო შენ ხომ არა ხარ ამ დღეში, ნადეჟდა... ამ ჩვენს რუსეთში რამდენი შენისთანაა დარჩენილი უკაცოდ.

ნადკა. ჩემს გაჭირვებას, ვითომ, შველის ეს, ვასილისა? კარგი. ჰო, მეც რას გავაბი, ერთი! მოდი, დავლიოთ. ნესტორ, სადა ხარ, ნესტორ, შენთანა ვარ: „ფრონტელს გაუმარჯოს".

ნესტორი (აგვიანებს). ეგრე, მხოლოდ ფრონტელის სადღეგრძელოა. სრული წესრიგით, იარ! წინ და ადგილზე იარ!

ვასილისა. იქნება, გზაზე დაგვაყენოს ამ კაცმა...

ლიზა. ვინა, მაქსიმმა? ხელი რომ მალე შეუხორცდებოდეს, ხო... მარჯვენა მთავარი ხელია, ხო იცი, მტკივაო ჯერაო, ამბობს...

ნადკა. ისე, ამ მარჯვენა ხელის გვერდზე გადაწევა ხო შეიძლება?

მაქსიმ. რა გვერდზე გადაწევაო? გვერდზე რატო უნდა გადავწიო?

ნადკა. არა, ღამე ხომ არაფერში შეგიშლის-მეთქი?

მაქსიმ. შემიშლის და ლიზა მომახერხავს კიდეც.

ნესტორი. ნადკა, მე შენა ამისთანა ლაპარაკისთვის კოლმეურნეობიდან გაგაგდებ, იცოდე.

ნადკა. დაეტიე მანდ, შე გამგდებ-გამომგდებო.

ვასილისა. ენაზე რაც მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა იყრანტალო ქალო, ხალხის გასაგონად. ფრონტელ კაცს ჯერ თავისი სახლის ზღურბლზე არ გადმოუბიჯებია, შენ კიდევ, კბენ და კბენ.

ნადკა. რას ვკბენ, როდის ვკბენ, სად ვკბენ? იმას, დიდი ამბავი, ერთი ხელი დაშავებია, სხვა ხო ყველაფერი მთელი და უვნებელი აქვს. ვიცი, ვასილისა, ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს. ჩემი გეშინია, ვიცი. ჰოდა, გეშინოდეს, უნდა გეშინოდეს: შენი გავრილა რომ ჩამოვა, მაშინვე დავითრევ. მე შენზე ახალგაზრდა ვარ, ჩემთან შენ ბრძოლას ყოველთვის წააგებ, ყოველთვის...

ვასილისა. მე გავრილას იმედი მაქვს.

ნადკა. ვითომ, რაო, ეგ შენი გავრილა წმინდანია, თუ რა! რა იმედი გაქვს ამისთანა?

ვასილისა. წმიდანია თუ წმიდანი არაა, შენ რო არ მოგიწვება, ვიცი. კაი ზნის ჩიტი რომ კაჭკაჭში გაეცვალოთ, არ გამიგონია შენა ხო კაჭკაჭი ხარ, შენ ოღონდ გაჭიჭინ-გაჭიჭინოს კაცმა!

ინოკენტი ივანოვიჩ. არა, ნადეჟდა, არა, შენა ვასილისასთან ბუდეს ვერ დაიდებ. იმას შენ ძირს ვერ გამოუთხრი. ღრმადა აქვს ფუნდამენტი ჩაჭრილი. გავრილა ფრონტიდან ამანათებს შენ გიგზავნის თუ ვასილისას. რამდენი გამოუგზავნა? წელს, ხუთი ამანათი მოგივიდა, არა, ვასილისა? ასე ვიცი მე.

ვასილისა. არ დამითვლია.

ნადკა. ის ამანათები ვასილისას არც გაუხსნია — ტაბურეტებად ხმარობს.

ვასილისა. ეგ უკვე შენი საქმე არაა, რას რისთვის ვხმარობ.

ნადკა. ლიზა, შენი წითელარმიელისგან რამდენი ამანათი მოგივიდა?

ლიზა. არცერთიც არ მომსვლია.

ნადკა. ჰოდა, შენს ადგილზე მე იმას სახლში ფეხს შემოვადგმევინებდი?

ლიზა. ღმერთო, დიდებულო! რა ოხრობად მინდოდა ამისი ამანათები? დღესა, ვამბობ, ძროხა დავკლათ-მეთქი, აგერ, ჩემი მამამთილი დამემოწმება, დავკლათ-მეთქი, ვამბობ, თუ შეხვედრაა, რიგიანად შევხვდეთ კაცს-მეთქი. დამიშალეს, აბა! მაშინ-მეთქი, რაც ქათმებია, თავები სუ დავაცალოთ-მეთქი, ერთი ამათი სისხლი გაწყდეს, თვალით არ დამენახონ-მეთქი. ქათმებიც ვერ გაიმეტეს, აბა! ღვთის წყალობა იყოს და ყველაფერს მოვინაგრებთ, ოღონდ, ერთად ვიყოთ, ერთად! მარტო რო დავრჩენილიყავი, დავიღუპებოდი, დარდი მომკლავდა, სხვა თუ არაფერი. ანდა, თავს მოვიკლავდი, მგონია...

ნადკა. დავიღუპებოდიო, ამბობ, აბა?

ლიზა, დავიღუპებოდი, დავიღუპებოდი...

ნადკა. არადა, თავს მოვიკლავდიო, ამბობ?

ლიზა. მოვიკლავდი-მეთქი...

ნადკა. აბა, შენი ჭკუით, რა გამოდის? აგერ მე, აგერ კატერინამ, აგერ ვერამ თავები დავიხოცოთ? ეგრე უნდა მოვიქცეთ? ვითომ, რაო, შენა გგონია, ეგ შენი ქმარი სხვებზე მეტად გიყვარდა? გგონია, რომ შენ ჩვენზე მეტად ელოდი შენ ქმარს? შენა, ლიზა, ჩვენი ჭირისა და ვარამისა არაფერი გაგეგება და აგრე ნუ ლაპარაკობ. თვის მოკვლას რა უნდა, ისე მოვიკლავდი თავს, რომ ხელი არ ამიკანკალდებოდა, — მშიშარა სულაც არა ვარ, — მაგრამ ამათ, ამ ბალღებს რა გინდა უყო? შენ რა იცი, რა, რა ცეცხლი მიტრიალებს გულში, იქ, შიგნით, ყველაფერი დაიწვა, დანახშირდა და ახლა იქ უკვე აღარაფერი მტკივა, ნამწვი და ნატრუსალი კი ცვივა და იფანტება, ცვივა და იფანტება, თითქოს შენ თვითონ იშლები მთლად, იფერფლები, თითქოს სულ უფრო და უფრო ცოტა და ცოტა რჩები...

ლიზა. მაპატიეთ, ქალებო, მაპატიეთ, ეტყობა, რაღაც ისე ვერა ვთქვი.

ნადკა. რაკი ასეთი იღბლიანი ხარ, ალალი იყოს შენზე, ჩვენს მაგიერადაც, ყველას მაგიერად შენ იცოცხლე და გაიხარე მაგრამ, დაიხსომე: ცუდად თუ იცხოვრებ, — გვიფრთხილდი. არ დაგინდობთ! ჩვენგან შებრალებას ნუ დაელოდები. ჩვენი ბრალი არაა, რომ ჩვენი ქმრები იქ ჩაიხოცნენ. ხომ ჩვენი ბრალი არაა, მაქსიმე ჩემო, ხომ არაა ჩვენი ბრალი? გვითხარი, თუ კაცი ხარ.

მაქსიმი. თქმა უნდა ამას, რო თქვენი ბრალი არაა? თქვენ ვინ რაში უნდა დაგადანაშაულოთ?

ნასტენა. (ნადკას). არა, შენა მართლა გწამს, რომ ბრალი არაფერში მიგიძღვის?

ნადკა. მე რაში მიმიძღვის ბრალი? მე, რაო, იმას გვერდში ვედექი და ტყვიას შევატოვე? შენა ჩემო კარგო, ვიდრე რამეს იტყოდე, ხომ უნდა დაუფიქრდე, რასაც ამბობ...

ნასტენა. ეშმაკობ, შენა, ნადკა, ეშმაკობ და ტყუი. ყველა ეშმაკობს და ტყუის, ვინც შენსავით ფიქრობს. იმიტომაც ლაპარაკობ ასე და იმიტომაც ხარ ენად გაკრეფილი, რომ იტანჯები. ასეა, ასე არაა განა? არა, აქა ისეთი რაღაცაა გარეული, რაც დედაკაცზეც ჰკიდია. იქნებ, საჭირო რომაა, იმდენს არ ვფიქრობთ იმათზე? იქნებ, უფრო ჩვენთვისღა ვცხოვრობთ? არა, უჩვენობა აქ მოგონილია. ჩვენც გვიდევს რაღაც წილი ამ ამბავში, ქალებო, ჩვენც გვიდევს.

ნადკა. შენა, რა ქადაგად დავარდი, ქალო! ცოტა ადრე ხომ არ მოგდის სხვების გასამართლება? ჯერ კაცმა არ იცის, შენ თვითონ როგორ წაგივა საქმე. იქნებ, არც შენ დარჩე მთლად უცოდველი? მაშინ ვნახოთ, როგორ აგვიჭიკჭიკდები.

ნასტენა. მეც ცოდვა-ბრალიანი ვიქნები მეც. მართალია: ჩემი წილიც იქნება იმ ცოდვა-ბრალში, იმას რაც არ უნდა მოუვიდეს, მეც ვიქნები დამნაშავე, მეც, მეც, მეც ვიქნები...

ლიზა. (წელზე ხელს მოხვევს, ამშვიდებს) ნასტენა, ნასტენა! რა დაგემართა, გოგო! კარგი, გაჩერდი. შენ არაფერი ცუდი არ მოგივა, დამიჯერე. წინასწარ კაცის გამოტირება გაგონილა?

ნადკა. აფრინა, ნამდვილად. აფრენს, აბა, რა იქნება... დაჯექი და უყურე სხვის ბედნიერებას. ჩვენა, მაქსიმე ჩემო, კაცს რა სუნი უდის, გადაგვავიწყდა უკვე, გადაგვავიწყდა, გაიგე?

ნესტორი. (მღერის).

**«А казак еще был молодой,**
**Да к тому же еще был холостой»...**

(ხმას არავინ აყოლებს და ისიც გაჩუმდება).

ვასილისა. მალე დამთავრდება, მაინც, ეს ომია თუ რაღაც ოხრობაა? გვითხარი, მაქსიმ, შენ ხომ იქიდანა ხარ მოსული...

მაქსიმი. მალე დამთავრდება, ქალებო, მალე. ხომ გაიგეთ, ჩვენები უკვე გერმანიაში შევიდნენ. ახლა თავის ბუნაგში მიგუდავენ მტერს.

ვასილისა. იმ მტერმა უკან რომ გამოგვრეკოს? ასე გერმანელიც კი იყო მოსკოვამდე მოსული...

მაქსიმი. ხომ არ გამოგვრეკავენო? ვერ გამოგვრეკავენ, ქალებო, ვერა. ეგ არ იქნება. ხომ ცალხელა ვარ, უკანვე მივბრუნდები, სხვებიც, ყველანი — ცალფეხიანებიც, დასახიჩრებულნიც ისევ ფრონტზე მიბრუნდებიან, მაგრამ გერმანიიდან უკან არ დაიხევენ. საკმარისია უკვე. შეუძლებელია იმათ ჩვენ იქიდან გამოგვრეკონ. არ დავუშვებთ.

ვასილისა. ოთხი წელი ცოტაა, რო? დავჩაჩანაკდით, დავვლახავდით აქა, პირში სული ძლივს გვიდგას.

ნადკა. რაღაც არ გეტყობა დაჩაჩანაკება და დაგლახავება.

ვასილისა. ეჰ, ნადეჟდა, ნადეჟდა, ვინ იქნება, ერთი, რომ ეგ ენა დაგიმოკლოს? ჩვენა, აქა სერიოზულად ვლაპარაკობთ, შენა კიდე გვწამლავ და გვწამლავ.

ლიზა. ჩვენც არ დაგვკლებია სუსხი და ქარიშხალი, ქალებო. ისე, რა არ გადავიტანეთ, ხალხნო! რო ვიხსენებ, კივილი მინდა. ეს კოლმეურნეობაში მუშაობა — კარგი, ჰო, ამას ვერ წაუხვალ, ჩვენი საქმე ესაა. პურს ავიღებთ და თოვლიც კარზეა მომდგარი აბაო, ჰეო, ხე-ტყის დამზადებაზე გამოდითო. სამარის კარამდე მეხსომება ეს ხე-ტყის დამზადებაა თუ რაღაც ჯოჯოხეთია. გზებია და რა გზები, გაწყდნენ ცხენები წელში. არადა, გული როგორ გიზამს, რომ სამუშაოდ არ გახვიდე: აქაც ფრონტია — შრომითი ფრონტი, აქედან, შორიდან მაინც ხომ უნდა შეეშველო ჩვენს კაცებს. პირველ წლებში, მთლად ცეროდენა ბალღებს ვტოვებდით სახლში და ისე გავდიოდით სამუშაოზე... ვისაც შვილები არა ჰყავს ან წამოეზარდა, ხო გადიოდნენ და გადიოდნენ. აი, ნასტენას, სიტყვაზე, ერთი ზამთარიც არ გაუცდენია. მეც კი გავედი ორიოდეჯერ, შვილები მამამთილს დავუტოვე და გავედი. აქცევ და აქცევ იმხელა ხეებს, კუბომეტრობით აწვენ. რამდენ რამეს გინდა გაუძლო. ეს ნამქერიო, ეს ისაო — ქალი ხარ, თუ ვინცა ხარ, ვის რაში ედარდება, უნდა მაგრად იყო, გაუძლო. ხან მოერევი საქმეს, ხან — ვერა. ღმერთო, შენ გაამწარე და იმ ქვეყანაშიც არ მოასვენო ის წყეული ფრიცი, ისა! ღმერთო, რაც ჩვენ იმან გაგვამწარა და გაგვაუბედურა, სულ ძმრად და შხამად ამოადინე ცხვირში.

ნადკა. გაჩერდები, თუ არა ქალო. ბოლოსდაბოლოს, ქმარი შენ ჩამოგივიდა თუ მე?

ლიზა. მე ჩამომივიდა, ნადკა, მე და გავჩერდი, აი, მუნჯი ვარ.

ნესტორი. ჩვენთან ხო ყველაფერი უკუღმაა. რა ხალხია, ღმერთო ჩემო! ომში ქმრები სიმღერით გააცილეს, ახლა, აგერ, კაცი იქიდან ჩამოვიდა და ისე ჩამოუშვიათ ცხვირი, თითქოს პანაშვიდზე არიანო. იმღერეთ-მეთქი, თქვენი...

კატერინა. სწორია, მოდით, ვიმღეროთ, ხალხნო.

ვერა. „კატიუშა“ ვიმღეროთ.

(მღერიან. ნადკაც აყოლებს ხმას, მაგრამ უცებ მოწყდება, თავი მაგიდაზე ჩამოუვარდება, ქვითინებს. შემდეგ, ცრემლის შეუმშრალებლად, იღებს შინნახადი არყით სავსე ჭიქას, სულმოუთქმელად გადაჰკრავს და ისევ აჰყვება სიმღერას, მხოლოდ ნასტენა ზის გახევებული, თითქოს, ვერ გადაუწყვეტია, აჰყვეს სიმღერას თუ არაო. ეტყობა, გამოთიშულია, ირგვლივ რა ხდება არც ესმის).

## მეხუთე სურათი

## მეორე შეხვედრა საზამთრისში

ანდრეი წევს ტახტზე. კარზე აკაკუნებენ. ანდრეი წამოხტება, მაგრამ ვიდრე შეშინდებოდეს, ნასტენას ხმას გაიგონებს.

ნასტენა. ანდრეი, მე ვარ, ანდრეი! (შემოდის საზამთრისში) არაფერი გიჭირდა, შემხვედროდი. მეგონა, რომ ნამდვილად ვერ მოვაღწევდი, გზაში წავიქცეოდი, ეს კი, ვითომც არაფერი, ზის აგერ და ნებივრობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრეი. საიდან ვიცოდი, დღეს რო მოხვიდოდი?

ნასტენა. (ტირილს ცოტა უკლია). „საიდან ვიცოდი, საიდან ვიცოდი!“ უნდა გცოდნოდა, გაიგე! საიდან იცოდა!

ანდრეი. (ფრთხილად). რატომ მორბოდი? გული ამოვარდნაზე გაქვს, ხომ არაფერი შეგემთხვა?

ნასტენა. რატომ მოვრბოდი? არ იცი, რატომაც მოვრბოდი? შენკენ მოვრბოდი, ადამიანო, შენკენ მოვრბოდი! შენ კიდე, რას მორბოდიო?!

ანდრეი. გიჟი ხარ შენა, გიჟი და გადარეული. არ ვიცოდი, შენ თუ ასე თავზეხელაღებული მყავდი. ამისთანა დღეს ნადირს ვერ გააგდებ ბუნაგიდან, შენ კი არაფრის შეგეშინდა... საიდან მოხვედი?!

ნასტენა. შენ საერთოდ არაფერი გაგეგება, არაფერი! ზიხარ ამ ბნელ სოროში თხუნელასავით და... შენს ცოლს წესიერად არ უნდა შემოხედო?

ანდრეი. თხუნელასავითა ხარო.... მართალია, თხუნელასავითა ვარ, აბა, რა? (პაუზის შემდეგ). ძალიან გიჭირს, ნასტენა?

ნასტენა. რატომ მეკითხები მაგას?

ანდრეი. იქნებ, ჩვენ ერთხანს არ შევხვდეთ ერთმანეთს. დაგესვენა ცოტა. მე აქ არაფერი მაკლია, გავიტან თავს.

ნასტენა. რატო ხარ ამისთანა, ანდრეი. დაისვენეო, რო მეუბნები, რატო არ მეკითხები, მინდა დასვენება, მინდა? მალე ანგარის საფარიც გალღვება, ვიდრე გადარეული ზღვა წყალი თავის კალაპოტში ჩადგება და აქეთ გადმოსვლა ისევ შემეძლება, ნუ გეშინია, დასვენება ყელში ამომივა. მანამდე შენ თუ არა გნახე ხოლმე, ხომ მოვკვდი ქალი? არაფერი შენ არ გესმის, არაფერი! მგონი, ორსულადა ვარ, ადამიანო, ორსულად!..

ანდრეი. (თითქოს, დარეტიანდაო). რა-ო?! რაო, რაო? — შენ ამას მართალს მეუბნები? მართალს ამბობ-მეთქი?

ნასტენა. დანამდვილებით ვერ გეუბნები. მაგრამ ასე არასოდეს ვყოფილვარ. ორსულად უნდა ვიყო, კი, ვარ, მგონია.

ანდრეი. რატომ აქამდე არ იღებდი ხმას (გააფთრებით). ნას-ტენა! აი, ეს მესმის! ღმერთო, სადა ხარ, ღმერთო! ეს რა მოხდა, გესმის! თუ გაგეგება, რა ხდება, ღმერთო? გესმის, რა ხდება, ნასტენა? ღმერთო, გესმის... ვიცი... ახლა კი ვიცი, ნასტენა: ამაოდ არ მოვდიოდი აქეთ, ამაოდ არ მოვდიოდი. აი, თუ უბედური ვარ, აი, თუ ბედი არა მწყალობს... ჩემმა ბედმა ინება ასე, მან ინება, მან წაიყვანა ასე ჩემი საქმე. ასეც ვიცოდი, ნასტენა, ვიცოდი, ვიცოდი. ვგრძნობდი, ნასტენა, ამისთვის... ეს უკვე... ახლა არავითარი გამართლება არ მჭირდება. ეს ყოველგვარ გამართლებაზე მეტია. ახლა, რაც მომივა, მომივიდეს, თუგინდ ხელ ჩავწვები მიწაში, ოღონდ, რაცა თქვი, მართალი იყოს, ოღონდ, ჩემს შემდეგ ეგ დარჩეს... ჩემი სისხლი დაიძრა და ჩემს შემდეგაც იდენს ჩემი სისხლი. ჩემს ძარღვებში სისხლი არ დაშრეტილა, არ გამხმარა, არ გაწყალებულა. მე კი სულ ვფიქრობდი, ვფიქრობდი: მორჩა, გათავდა, ვუყავი და ვითომ არა ვყოფილვარ, უშვილძიროდ მივდივარ ამქვეყნიდან. გვარის ფესვის გამახმობელი მე ვარ, მე-მეთქი. აბა, ეგა, ჩემი გვარი, იცოცხლებს? იცოცხლებს, იცოცხლებს და ივლის ივლის ამ მიწაზე? ხედავ, რა მელოდა, თურმე! ხედავ, როგორ წავიდა საქმე! ნასტენა, ჩემო ღვთისმშობელო! გესმის, ნასტენა!

ნასტენა. მე, მე რა ვქნა, ანდრეი? მე ხომ ხალხში ვცხოვრობ, მარტო რო არა ვარ, დაგავიწყდა? სოფელს რა ვუთხრა, ანდრეი, სოფელს?

ანდრეი. არ ვიცი... ახლა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე მკიდია.

ნასტენა. შენთვის იოლი სათქმელია. შენ რა გენაღვლება, ხარ აქ, მარტო, შენთვის.

ანდრეი. რას ამბობ, ნასტენა, რას? შენ თვითონაც არ გიხარია, თუ...

ნასტენა. მიხარია, მიხარია, მაგრამ რა ვქნა ახლა მე, რა გზას დავადგე? რა მეშველება? მალე ხომ მუცელს შემატყობენ, ხალხი ბრმა კი არაა.

ანდრეი. გახსოვს, რამდენი ხანი ველოდეთ შვილს... რა იმედი ვქონდა.

ნ ა ს ტ ე ნ ა. მახსოვს... როგორ არ მახსოვს? რატომ ხარ ამისთანა, ანდრეი?.. რა შენი თხოვნა და დაყოლიება მინდა. მე არ ვიყავი, მთელი ღამეები რომ ღმერთს ვევედრებოდი, ოღონდ კი შენგან შვილი მყოლოდა? სხვა არაფერი მინდოდა ამქვეყნად — ოღონდ შვილი გამეჩინა, ოღონდ შენ გამეხარებინე. მე არ ვიყავი, სიკვდილივით რომ მეშინოდა, ვაითუ, დავიღუპო და ფურბერწად დავრჩე-მეთქი? ჯოხი ხომ ჩემს კისერზე გადატყდებოდა, მეც ყველაფერს ჩემს თავს ვაბრალებდი, განა სხვას. შენც ხო ფიქრობდი, რო მე, მე... მე შენზე ცუდ დღეში, ბევრად უფრო ცუდ დღეში ვიყავი. სუ მატყუარა და ქურდი მეგონა ჩემი თავი, სხვისი ადგილი მივითვისე, ვიღაცას მისი წილი ბედნიერება მოვპარე-მეთქი. შენ რა იცი, რამდენჯერ დამიწყევლია ჩემი გაჩენის დღე. შემძლებოდა, სადმე გადავიკარგებოდი. რომ არასოდეს დაგენახე ან ანგარა აგერ არ იყო? ჰოდა, მოისვენებდი, ჩიტივით თავისუფალი იქნებოდი კაცი. მაგრამ ისევ შენ მაკავებდი, შემდეგ ომიც დაიწყო. შენა, კიდე, მეკითხები თუ გახსოვსო? მე თუ არ მახსოვს, ვიღას უნდა ახსოვდეს? ახლა ვინ უნდა იყოს სიხარულისგან მეცხრე ცაზე? მე თუ არა, ვინ უნდა იყოს ბედნიერი, უბედნიერესი? იქნებ, ხელმეორედ ვიბადებოდე ახლა! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო! მაგრამ შენ რო უკვე აღარა ხარ, ანდრეი! აღარა ხარ, ანდრეი, აღარა ხარ! შენ ხო მიბრძანე, ჩემზე არავისთან არაფერი დაგცდესო. როგორც მიბრძანე, ისეც იქნება. არავისთანაც არაფერი დამცდება, ქვა ვიქნები და სამარე. ჩუმად ვარ და ჩუმად ვიქნები. გასაგებია. მაგრამ, მაშინ, თუ გვეყოლა, ბავშვიც ხომ შენი არ იქნება. ვისიც გინდა, იმისი იქნება, ოღონდ, შენი არ იქნება. იქნება, მამაშენმა და დედაშენმა მადლობაც მითხრან, შენი ბავშვი რო მივგვარო სახლში? იქნება ხალხმაც შეგიბრალოს? ხალხს რო მკვდრად მიაჩნდე, კიდე, ჰო: მაპატიებდნენ. მთლად არ გამწირავდნენ. არადა, ყველა ფიქრობს: ხო შეიძლება, ანდრეი დღეს თუ არა, ხვალ გამოჩნდესო. ეგა კიდეო, შეხედეთ, შეხედეთო, ქმარს როგორ ელოდებოდაო! ყველაზე წყალწაღებული ვიღაცეებიც კი გამთათხავენ და მართალნიც იქნებიან — თუ გესმის, რას მიშვრები, რას? მარტოკას გამიჭირდება, ანდრეი, ამდენი ხალხისთვის თვალში ყურება. მეშინია, ანდრეი, მეშინია. მეშინია, რომ ამდენს ვერ გავუძლო.

ა ნ დ რ ე ი. შენს ბედს, ბედისწერას, ვერსაით გაექცევი, ნასტენა, რამდენიც გინდა, იხტუნავე, — აპა! — იმან უკვე იქ გადაგიწყვიტა — რა და როგორ. ჩემმა ბედმა, ბედისწერამ მიბრძანა,— ანდრეი, მორჩი ახლა მაგ ბრძოლას და შინ, ნასტენასთან წადიო. მაგან მიბრძანა, მაგან. იქნება, მაიძულა კიდეც, აქეთ წამოვსულიყავი, რათა ვიდრე მოვკვდებოდი, მე და შენ — ორივენი გადავრჩენილიყავით. შენა, როგორა გგონია, ჩემთვის ადვილია, ასე ნადირივით ტყეში რო ვიმალები? არა, არ მიჭირს, გგონია? ეგენი ხო იქ იბრძვიან, მეც ხომ ამ დროს იქა ვარ, იქა, მაგრამ იძულებული ვარ, იძულებული ვარ, აქ ვიყო? მე აქ მგელივით ყმუილი ვისწავლე. გინდა, მოგასმენინო? (ყმუის). ჰგავს, ხომ. კი ჰგავს. თავი ხომ უნდა შემექცია რითიმე, ჰოდა, ხო ხედავ, რასაც მივაგენი. შენა გგონია, სხვა საქმე რო არაფერი მაქვს, იმიტომ ავყმუვლდი? არა, ნასტენა, არა, მოცლილობისა და დალხინებული ცხოვრების გამო არ ავყმუვლებულვარ. რა გინდა, ადამიანო, უკანასკნელი იმედის სხივს რატომ მიქრობ, შენა, რა, გგონია, აქაურობას იმიტომ მოვაშურე, რო აშენებას ველოდი? ახლა ვიცი, რო არც მთლად ისე მიჭამია სირცხვილი. რა გინდა, რას შვრები — დამანახე, რო ბედს მწიე, გადამრიე კაცი და ახლა გინდა, მუცელი მოიშალო? ამით ხო ჩემთვის ყველაფერი გათავდა, ყველაფერი. შენ რო შვილი გამიჩინო, ნასტენა, ეგ ჩემთვის უკანასკნელი შანსი იქნება. გამიგე, რას გეუბნები: ეს იქნება უკანასკნელი შანსი ჩემთვის, ჩემთვის-მეთქი, მთელი ჩემი ცხოვრების აზრი ეგ იქნება. ხალხს ნუ ეცოდინება, აი, დარდი, ნუ ეცოდინება, ვისი შვილია ეგა, ჩემი სისხლი ხო იგრძნობს, ხო ჩემი იქნება, ჩემი. შემდეგ, დრო რო გავა, ჩვენ ჩვენს სისხლსღა ვახსოვართ.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ანდრეი, ეგა, ჯერ იქნება, არცაა ჩასახული. ხო გითხარი, დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვი-მეთქი, დაველოდოთ ცოტა ხანს.

ა ნ დ რ ე ი. არის — არ არის, ამას ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება. თუ გყავს მანდ, დაიტოვე, ნუ მოკლავ. ჩემი სული გადაარჩინე, ნასტენა. მე, თუ გინდა, ხვალვე ჩავძაღლდები და არც არაფრით შეგაწუხებ, ოღონდ ესა... სხვაფრივ, როგორც გაგეხარდეს, ისე მოიქეცი...

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე სულაც არ მინდა, არ მინდა, არ მინდა, რო შენ მოკვდე. აბა, რეებს ლაპარაკობ?

ა ნ დ რ ე ი. ოთხი წელი ვიცხოვრეთ ჩვენ ერთად. ავად თუ კარგად, ოთხი წელი ვიყავით ერთად. ოთხი წელიც ამ ომიანობისა დაუმატე. ათასი ვერსი იდო ჩვენს შორის, მაგრამ ერთ თოკზე ვიყავით გამობმულნი. ნუთუ არავითარი კვალი არ უნდა დავტოვოთ, ნუთუ სულ ფუჭად ვიცხოვრეთ?

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე არ მინდა, განა, ანდრეი? არ მინდა, განა, ადამიანო?! მინდა, მინდა, მინდა. აბა, რას მეუბნები? რატომ მელაპარაკები ასე, რატომ?

ა ნ დ რ ე ი. ვის შეეძლო ეფიქრა, ვის, რომ ახლა, როცა ჩვენ უკვე ოჯახი — რაღა დროს ოჯახია? — აღარა გვაქვს, როცა ჩვენი ოჯახი ორადაა გახლეჩილი, ახლა, მაინცდამაინც ახლა მეწეოდა ბედი და ჩემს სიცოცხლეში ერთადერთხელ გავაკეთებდი ჩემს წილ კაცურ საქმეს. რატო მოხდა ეს, რატო? იმიტომ, რომ არც მთლად ფუჭად მიცხოვრია ამქვეყნად. ხალხის მითქმა-მოთქმას ერიდები, არა? ვინ არიან ეგენი შენთვის, მითხარი? ადამიანები ძაღლებივით არიან: ვიღაცა სადღაც გაიფაჩუნებს და ეგენიც აყეფდებიან. იყეფენ, იყეფენ და გაჩუმდებიან — და ისევ აყურადებენ, ვინმე სადმე ხომ არ ფაჩუნობსო. ადამიანები!.. ერთი ეგენიც ჩაიგდე ამ დღეში და ნახავ, ნახავ, ვინ ვინ გამოჩნდება. ხალხს კი არა, შენს თავს უგდე ყური, ნასტენა. შენ ხო იცი, რა როგორ იყო. ხო იცი, რო არავის წინაშე არავითარი ბრალი არ მიგიძღვის. შენ ხო იცი, რომ ეგ შენი შვილი მამამისითაც შენი ნამდვილი შვილია. ამით დაიცავი, ამით გადაირჩინე თავი, ნასტენა, ამით. აქამდე შენ მხოლოდ გაღმა ცხოვრობდი. იქ, გაღმა, ანგარის მარჯვენა ნაპირზე შენთვის ხალხს გარდა არავინ იყო, ახლა კი, აქ, გამოღმა შენთვის ჩვენ ორნი ვართ — ხალხი და მე. გაღმა-გამოღმას ერთმანეთს ვერ შეყრი, — ანგარა თუ არ ამოშრა, ისე ვერ შეყრი, ნასტენა. გაგიჭირდება, გაიტანჯები, რასაკვირველია. მაგრამ ახლა არ გიჭირს, თუ რა, ნასტენა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ვინმეს რამე ვუსაყვედურე?

ა ნ დ რ ე ი. ვუსაყვედურე — არ ვუსაყვედურე, რა შუაშია. ისედაც ყველაფერი ნათელია. (დუმილის შემდეგ). ყური დამიგდე, აი სამი წლის წინათ ერთი სიზმარი ვნახე და ის სიზმარი დღემდე თვალწინ მიდგას. დაძინებას წინ ვინც იყო ჩემს ირგვლივ და რაც იყო, ყველაფერი ისე ვნახე სიზმარშიც. ვიცი, სიზმარია, მაგრამ ამ სიზმარში ყველაფერს ისევე ვხედავ, როგორც დაძინებამდე ვხედავდი. და, აი, ვწევარ ცხად-სიზმარში და არყნალიდან — იქვე, ახლოს, არყნალი იყო, — ჩემსკენ ერთი გოგონა მოდის. თითქოს ვიღაც მთლად უცნობია, გაქუცული პალტო აცვია, ძლივს მოლასლასებს, ფეხშიშველაა. თითქო შენი არაფერია აქ, მაგრამ რატომღაც ვიცი, ვიცი, რომ ეს შენა ხარ. მოდის ჩემთან და მეუბნება „შენა, აქ რა გინდა, მე იქ ბალღებმა სისხლი რო გამიშრეს, შენ, გეტყობა, არც არაფერში გენაღვლებაო“. „რომელ ბალღებზე მელაპარაკები-მეთქი, შენა, აბა, ბალღები ვინ მოგაშავა, რეებს როტავ, წადი აქედან და კარგად ნახე, მართლა გყავნან ბალღები თუ არ გყავნან-მეთქი“. ადგა და წავიდა.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ხო, წავიდა?

ა ნ დ რ ე ი. გამიგონა, ხო იცი და წავიდა. მაგრამ მერე ისევ მომადგა, ისევ და ისევ გაბა და გაბა დამთხვეულივით: მეო, იქაო, ბალღებმა სისხლი გამიშრეს, შენა, კიდეო... ახლა უფრო მკაცრად ვეუბნები: „წადი ახლა აქედან და მეტად არ დამენახო — არავითარი შვილები შენ არ გყავს-მეთქი“. თითქო დამიჯერაო, შეტრიალდა და წავიდა. მაინც რანაირი სიზმარი იყო, ვერ გამიგია: ვიცი, მძინავს, სიზმარს ვხედავ და მაინც მინდა დავიძინო, მაგრამ თვალის დახუჭვას ვერ ვასწრებ, რო, აგერ არ გამოდის არყნალიდან! ისევ ჩემსკენ არ მოდის! რამდენჯერმე წავიდა და ისევ მობრუნდა. ჯვარს მაცვა, გამაწამა იმ ღამეს.

ნ ა ს ტ ე ნ ა. მერე, მერე? ბოლოს რა უთხარი, აი, სუ ბოლოს რო მოვიდა?

ა ნ დ რ ე ი. არ მახსოვს. ალბათ, რაც ადრე ვუთხარი, ისევ ისა. ვითომ სხვა რა უნდა მეთქვა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ეგ გოგონა მე ვიყავი. ოღონდ, შენამდე, ანდრეი, როცა არც მიცნობდი. თმაც ბიჭურად მქონდა შეკრეჭილი, არა?

ანდრეი. ჰო, ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი.

ნასტენა. მე ვიყავი, ანდრეი, მე.

ანდრეი. კარგი, ერთი! ზუსტად გოგოობისდროინდელი სახით როგორ გამომეცხადე?

ნასტენა. ვერ გეტყვი. იქნება, მოგიყევი, არ მახსოვს. მაგრამ ეგ მე ვიყავი. მე. მომისმინე — იქ ტყვიამფრქვევები იდგა? იდგა. ტაფობში კი, საიდანაც შენსკენ ამოვდიოდი, მანქანები იდგნენ, ისეთი, დიდი, მწვანე მანქანები. შენ ქეჩის ნაჭერზე იწექი, და შინელს ზემოდან ბრეზენტი გეხურა. გვერდით სამი თუ ოთხი ამხანაგი გეწვა; მე სწორედ შენი მხრიდან ამოვდიოდი...

ანდრეი. ეგეები შენ საიდან იცი?

ნასტენა. მეც ვნახე ეგ სიზმარი. ოღონდ მე აქედან, ჩემი მხრიდან ვხედავდი ყველაფერს. რა ვნახე — ერთი ქალი მეუბნება: შენაო, წადი იმასთან და ბალღებზე ასე და ასე უთხარიო. თუ დაგიჯერებს და დაგეთანხმება, ყველაფერი კარგად იქნება, თუ არ დაგთანხმდება, თქვენ ერთად ყოფნა არ გიწერიათო. მოვედი შენთან. შენა, — აპა! — არც კი მომისმინე. მივდივარ და მოვდივარ, მივდივარ და მოვდივარ, შენ კი ვერაფერი შეგასმინე, მინდა სიტყვა გადაგიკრა, რაღაცას მიგახვედრო, მაგრამ არაფერი გამომდის. შენ მიბრაზდები, მაგდებ. აი, ბოლო მოსვლაზე რა მითხარი, არ მახსოვს. მახსოვს, რომ უკვე გოგოობისდროინდელი სახით კი არ წამოვედი შენგან, არამედ ასეთი, ჩემი სახით. მე რო ვამბობ, ისეთი მოვდიოდი თუ არა შენთან?

ანდრეი. კი, ისეთი მოდიოდი.

ნასტენა. მერედა, რა მითხარი მე შენ ბოლოს?

ანდრეი. არ ვიცი, არ მახსოვს.

ნასტენა. რაღაც ხო უნდა გეთქვა?

ანდრეი. ალბათ, გეტყოდი რაღაცას.

ნასტენა. როგორი საქმეა! რაც მთავარია, ის არ მახსოვს მაინცდამაინც! და შენ შემდეგ, არასოდეს, არცერთხელ არ გინახივარ ძილში ბალღებიანად? კარგად გაიხსენე.

ანდრეი. არა, არც ერთხელ...

ნასტენა. იქნებ მხახე და დაგავიწყდა? იქნება, ომმა ამოგიგდო ხსოვნიდან ის სიზმარი?

ანდრეი. არა, ამისთანა სიზმარს ნამდვილად არ დავივიწყებდი. ის ხომ მახსოვს, შენ როგორ მოხვედი. მესამე წელია უკვე და მახსოვს.

ნასტენა. სიზმრის დასასრული ხო მაინც დაგავიწყდა? როგორ უნდა გაიგო ადამიანმა, რა მითხარი მაშინ, სუ ბოლოს? იქნებ, ჩემი სული მოდიოდა მაშინ შენთან, იქნება, ამიტომაც ვნახეთ ერთნაირი სიზმარი...

ანდრეი. იმას, რაც ჩვენ სიზმარში ვნახეთ, ალბათ, არანაირი ბოლო არ ჰქონია. ბედმა, ეტყობა, განგებ არ გვანახა მაშინ ის ბოლო, დანარჩენი, ეტყობა, სიზმარში კი არა, ცხადში, სინამდვილეში უნდა გვანახოს. ჰოდა, გვანახებს, როცა ყველაფერს ან ასე დაესმება წერტილი ან ისე. ეს უკვე შენ იცი...

ნასტენა. რა ბედი და ბედიო, რას აიჩემე, ერთი!

ანდრეი. თუ ბიჭი ხარ, ნუ აიჩემებ! აიჩემებ, აბა, არ აიჩემებ, როცა აგერ გიზის, ა, ფეხებთან და ნაბიჯს არ გადგმევინებს? გგონია, გვერდზე მიდგება ან სადმე წავა? ყურში აქვს ჩემთვის ხელი ჩავლებული და თავის ნებაზე მატარებს. ახლა კიდე შენც შეგება უღელში და მათრახს გილაწუნებს. როგორ გინდა ამ უღლიდან თავი დაიძვრინო, ნასტენა, როგორ?

ნასტენა. რატო უნდა დავიძვრინო თავი? მე შენთან მინდა ვიყო. თუ იმ ბედისგან გაწირული ვართ, სადაც შენა, იქაც — მე!

## მეორე აქტი

## მეექვსე სურათი

## „დაიჯერა თუ არ დაიჯერა“

გუსკოვების ეზო. მიხეიჩი — ანდრეის მამა და ნასტენა ჯოჯგინას შემოდებულ შეშას ხერხავენ.

მიხეიჩი. (ხერხს აჩერებს) შენა, ქალბატონო, ანდრეის „ტულკასთვის“ ხო არსად მოგიკრავს თვალი? დღეს ყველაფერი გადავაქოთე, მაგრამ, — აპა! — თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ბეღელში მეკიდა, მახსოვს, ქურქის ქვეშ. აღარაა! შემთხვევით, ხო არსად გინახავს?

ნასტენა. (დაბნეულად, დუმილის შემდეგ). ვნახე...

მიხეიჩი. აგაშენა ღმერთმა. მაშინვე ვერ გკითხე?.. სადა ნახე?

ნასტენა (შეყოვნების შემდეგ გადაჭრით ამბობს). გავყიდე მე ის თოფი, მამი...

მიხეიჩი. გავყიდეო? რას ამბობ, ვის მიჰყიდე, ვის?

ნასტენა. კარგახანია. შენი მეშინოდა, ვერ გეუბნებოდი, ტყავს გამაძრობს-მეთქი, აი, რწმუნებული რომ წავიყვანე კარდაში, მაშინ წავიყოლე. შენ მაშინ ობლიგაციების გამო გამიწყრი და ფიქრით თავი გამისკდა — ამხელა ფული სად უნდა ვიშოვო-მეთქი? სისულელით მომივიდა. ორი ათას მანეთზე ვაწერ ხელს-მეთქი, მაგრამ ამ ფულის შოვნა არ გინდოდა? იმან რომ ნახა, თვალში მოუვიდა. შემომიჩნდა: მომყიდე და მომყიდეო. ავდექი და მივყიდე... დამითანხმა.

მიხეიჩი. რეებს როტავ, ქალო, შენა? ვინ ნახაო, ვინ დამითანხმაო? ვერაფერი გამიგია.

ნასტენა. ვიღაც ყალთაბანდი იყო, იქ, კარდაში. ვინაა, არ ვიცნობ. მახსოვს, სამხედრო შინელი ეცვა. უხერხული იყო, ვინა ხარ-მეთქი, ვერ ჩავეძიე. ფასზე შევთანხმდით და... წაიღო.

მიხეიჩი. შენა, რაო, თოფი თანა გქონდა?

ნასტენა. თანა მქონდა. უკან იმ სიბნელეში როგორ უნდა ვიარო-მეთქი. შემეშინდა.

მიხეიჩი. ჰოდა, გაყიდე?

ნასტენა. გავყიდე.

მიხეიჩი. შენა, ქალო, წერამ ხო არ აგიტანა? როგორა გგონია, ანდრეი რო ჩამოვა, მაგ „ტულკის“ გაყიდვისთვის თავზე ხელს გადაგისვამს? თუ, რა გგონია...

ნასტენა. ეგ ჩამოვიდეს და არაფერია, ახალს შევიძენთ. მაშინ მე სხვა გამოსავალი არ მქონდა...

მიხეიჩი. შეიძენ, არა... ამისთანა თოფის ყიდვას, ქალო, ეხუმრები! თოფი კი არა, ოქრო იყო, ოქრო! ამისთანა თოფს ახლა სად აკეთებენ. ეჰ, რა უნდა გელაპარაკო, ერთი! გაყიდე, ხო... უბრალოდ, აიღე და გაყიდე, ხო?.. როგორ გაყიდე მაინც?

ნასტენა. ფული არ ამიღია, მამი. საათი მომცეს.

მიხეიჩი. რა საათი მომცესო?

ნასტენა. გავცვალესავით, მამი. საათის გაყიდვა უფრო ადვილიაო. ეგ საათიო, იმ კაცმა მითხრა, ჩვეულებრივი კი არაა, უცხოურია და ძაან ძვირად ფასობსო. ახლავე გაჩვენებ (ჯიბიდან იღებს საათს). შეხე: სამისრიანია, ერთი ისარი კი არ მიდის, მიჰქრის! რა ლამაზია! ამისთანა საათი ჩემს დღეში არ მინახავს. დროს ხო ყოველთვის ზუსტად აჩვენებს, წუთი რაა, წუთში არ მოგატყუებს. მერე ღამით, სიბნელეში, როგორ ანათებს! შიგნით წერტილები აქვს და ის წერტილები ისეთი თეთრი შუქით ანათებენ, რო ყველაფერი ჩანს.

მიხეიჩი. შენა, ნასტენა, ხო არ დამცინი, ჰა? მართლა მეუბნები. მაგას?

ნასტენა. მართლა გეუბნები. მაშინვე უნდა მეთქვა... თავიდანვე... სუ გადავდე და გადავდე, მეშინოდა.

მიხეიჩი. რა თოფი იყო?! რაში გაცვალა, საათში, სათამაშოში...

ნასტენა. საათის გაყიდვა უფრო ადვილია. თოფი სოფელში ვილას არ უგდია, საათი კი ვისა აქვს? ხელიანად წამგლეჯენ, ოღონდ დამინახონ.

მიხეიჩი. ისე, მართლა რაღაც უნდა მოგაგლიჯოს კაცმა ამისთანა საქციელისთვის. იქნებ, ცოტა ჭკუისთვის მოგეხმო. ვის უნდა მიჰყიდო ეგ შენი საათი, ვის რა ოხრად უნდა? ბაღლივით გაგაცუცურაკეს ამხელა ქალი, შენ კი ამას ჯერაც ვერ მიმხვდარხარ. „სიბნელეში ანათებსო...“ დიდი ამბავი! ამ ჩემს ფეხებს, თუ ანათებს. ტილები ვხოცო იმის შუქზე, თუ რა?

ნასტენა. თუ მაინცდამაინც, ინოკენტი ივანოვიჩი ნახავს თუ არა, იყიდის. ვიცი, მოეწონება, იმას ასეთი რამეები უყვარს რწმუნებული, მე რო წავიყვანე, ორი ათას მანეთს მაძლევდა. მეხვეწა, მარა რა მეხვეწა!

მიხეიჩი. რამდენს მაძლევდაო?

ნასტენა. რამდენსა და ორი ათასს.

მიხეიჩი. ამისთანა სულელი თუ ვინმე იყო, რატო არ მიეცი?

ნასტენა. ეგა, შეიძლება მეტი ღირდეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეიჩი. აბა, მიდი ახლა და ეძებე. ვინც მეტი მოგცეს. ეგ რწმუნებულია თუ ვილაც ოხერია, შენა გასულელებდა, გეკურკურებოდა, შენა კიდე დაუჯერე! ეჰ... (უიმედოდ ჩაიქნევს ხელს) რა უნდა გელაპარაკო?

(გამოჩნდება სემიონოვნა).

სახლში ვერ დაეტევი, შე გამოყრუებულო, შენა? კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო... ხალხში შენი გამოსვლა იქნება? გაიგე, რო ეგ ფეხები არ გაბია... წაიქცევი სადმე და დაიმტვრევი, გეუბნები...

სემიონოვნა. ალ დავიმტვლევი, ალა. სულ ალ მაჭილს. გავივლი ცოტას, და მოლჩა. (გვერდზე გასწევს მოსაშველებლად ახლოს მოსულ ნასტენას). მე თითონ...

(ნასტენა გაეცლება).

მიხეიჩი. ნასტენა!

ნასტენა. რა იყო?

მიხეიჩი. შენა, მართლა არ იცი, სადაა ანდრეი?

ნასტენა (შეშინებული): ანდრეი? საიდან უნდა ვიცოდე? რატომ მეკითხები?

მიხეიჩი. აბა, არ იცი?

ნასტენა. არაფერი არ ვიცი. რაც შენ იცი, მეც ის ვიცი. მე საიდან უნდა ვიცოდე. ჩვენ, მე მგონი, ერთ სახლში ვცხოვრობთ?

მიხეიჩი. ვიფიქრე, იქნება, სხვა რამეც იცი-მეთქი, იქნება, რამე იცი და თქმა არ გინდა. თუ რამე იცი, მითხარი, ნასტენა, მარტო მე მითხარი, ნუ დამიმალავ.

ნასტენა. რა უნდა გითხრა, ერთი? ნეტა, რა უნდა გითხრა? რამე რო მქონდეს სათქმელი, არ გეტყოდი, თუ რა? გითხარი, რაც შენ იცი, ისიც მე ვიცი-მეთქი.

მიხეიჩი. ისე გკითხე... იმიტომ გკითხე, რომ ამ ბოლო დროს შენ რაღაცნაირი სხვანაირი გახდი.

ნასტენა. რანაირი სხვანაირი?

მიხეიჩი. რაღაც სხვანაირი... როგორ გითხრა, თითქო გამოიცვალე...

სემიონოვნა. ლაო, ლაო, ლას ანბობს?

მიხეიჩი. (ნასტენას). მაგრამ მე ჩემს სიცოცხლეში არ ვიფიქრებდი, შენ თუ თოფს საათში გაცვლიდი. ადრე შენ ასეთი პირი არ გიჩანდა. კარგი, თოფს შევეშვათ... რა გემართება, ნასტენა, რა, თითქო სუ რაღაცის გეშინია, სუ სადღაც გაგვიანდებაო. იქნება, ჩვენგან წასვლა გაქვს გადაწყვეტილი?

ნასტენა. (იძაბება, ეტყობა, რაღაც ფიქრმა გაუელვა). არა, სად უნდა წავიდე? სანამ თვითონ არ გამაგდებთ, ვიქნები აქა. ამასობაში ომიც გათავდება და მერე გამოჩნდება რა და როგორ.

მიხეიჩი. სად არი ისა, სად არი?

ნასტენა. არ ვიცი-მეთქი, გითხარი.

მიხეიჩი. მე შენ როდის გეკითხები, ქალო.

სემიონოვნა. ლაო, ლაო, ლას ამბობთ? რატო ჩულჩულებთ. ალაფელი მესმის...

მიხეიჩი. რაზე ვლაპარაკობთ და ნავი წყალში ჩავუშვით და გამოფისვის დრო ვერ გვიპოვია (ხელს ჰკიდებს სემიონოვნას და სახლში შეჰყავს).

(როცა ისინი გავლენ, ნასტენა სწრაფად დგება, კუთხეში მიყუდებულ ნიჩბებს იღებს და მდინარისკენ მიდის).

## მეშვიდე სურათი

## მესამე შეხვედრა საზამთრისში

ანდრეი ზის ღუმელთან, ეწევა, ნასტენა ტახტზე ზის.

ანდრეი. (ფიქრს წაუღია). რას ინდომებდი შენა ჩემგან, ნასტენა?

ნასტენა. როგორ თუ რას ვინდომებდიო?

ანდრეი. აი, მე ვიცი, შენგან რაც მინდა. და ეს შენც იცი. მე მთელი ტვირთი შენ აგკიდე ზურგზე, თვითონ მე კი გვერდზე ვარ გამდგარი და შორიდან გიცქერი. რა შემიძლია მე, ნასტენა, რა შემიძლია? მე ხო მინდა — და მერე როგორ მინდა! — რო ხელი შეგაშველო, მე ხო მზამზარეულზე მისვლა არ მჩვევია. მე... მე მზადა ვარ წყალში გადავვარდე, ოღონდ რითიმე შეგიმსუბუქო ტვირთის სიმძიმე, მაგრამ აგერა ხარ და მითხარი, რითი, რითი?

ნასტენა. მე არაფერი არ მინდა შენგან.

ანდრეი. აი, ხედავ, არაფერი არ გინდა! არა, რავარია მე შენგან ყველაფერი მინდა, შენ ჩემგან არაფერი არ გინდა, არ, როგორ წახდა ჩემი საქმე: კაპიკია ჩემი ფასი. არავის არაფერში ვარგა ვარ. თვითონვე ვიცოდი, რო ასე იყო, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც მრჩებოდა. ერთიც ვნახოთ, და, ვფიქრობდი, რამე მთხოვოს-მეთქი? აპა! იქნებ, რამე, სულ უბრალო, უბრალო რამე მაინც მთხოვოს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, გამოდის, რომ მე ახლა მხოლოდ ზიანისა და ტანჯვის მოტანაღა შემიძლია. გამოდის, რო შენ მე მხოლოდ გებრალები, გებრალები და მეტი არაფერი. ჩემთვის, რასაკვირველია, ახლა ესეც ხსნაა მაგრამ მხოლოდ სიბრალულით დიდხანს ვერ გაძლებ — სიბრალულის ძაფი ძალზე წვრილია და სუსტი, ერთი მიცაცუნება და გაწყდება.

ნასტენა. რას ამბობ, ანდრეი, რას? მეგონა, ისე უბრალოდ მკითხე-მეთქი და მეც ალალად, უბრალოდ გიპასუხე, შენა კიდე ახლა საით მიბრუნებ ფეხს. ასე როგორ შეიძლება, ანდრეი? თუ გულით გინდა, ათას საქმეს გამოგიძებნი წუთში...

ანდრეი. მაინც, მაინც...

ნასტენა. ჯერჯერობით მაინც ნუ მელაპარაკები ასე. მე მალე მართლაც მძიმე დღე დამიდგება და შენც თუ ირწმუნებ ჩემსას, რაღა დამრჩენია?

ანდრეი. უჩემოდ, დღესავით ნათელია, შენ უკეთეს დღეში იქნებოდი.

ნასტენა. ეგ ეგრეა. რასაკვირველია, უშენოდ უკეთეს დღეში ვიქნებოდი. აი, კიდევ უკეთეს დღეში ვიქნებოდი, სულ რო არ ვიყო ამქვეყნად, არაფერის ვხედავდე, არაფერი მესმოდეს, არაფერი მტკიოდეს, არაფერი მტანჯავდეს — რა კარგად ვიქნები, ღმერთო, რა მოსვენებულად! მაგრამ იქ, ქვევით, მიწაში როგორღა ვიყო, თუკი აგერა ვარ, ზევით. შენ მე შენგან ნუ გამყოფ, გთხოვ. მოდი, ერთად ვიყოთ. შენ თუ იქ დააშავე, მეც შენთან ერთად დამიშავებია. ერთად ვაგოთ პასუხი. მე რო არ ვყოფილიყავი, შესაძლოა, რაც მოხდა, ის არც მომხდარიყო. შენ მთელ დანაშაულს შენს თავზე ნუ იღებ, მე იქ შენთან რო არ ვყოფილიყავ, შესაძლოა, რაც მოხდა, ის არც მომხდარიყო. შენ მთელ დანაშაულს შენს თავზე ნუ იღებ, მე იქ შენთან რო ვიყავი, ნუთუ, ვერა ხედავ? შენ კიდე აქ, ჩემთან იყავი. ჩვენ ხომ სიზმარსაც კი ერთს ვხედავდით — რაო, როგორა გგონია, ეს ისე ხდებოდა? არა, ანდრეი, არა, ისე არა ხდებოდა. შენ ეს გინდა, თუ არ გინდა, ჩვენ — მე და შენ ყველგან ერთად ვიყავით, ერთი ნახევარი აქ იყო, მეორე — იქ. შენა რა, როგორა ფიქრობ, გმირად რო დაბრუნებულიყავი, მე არაფერ შუაში ვიქნებოდი? ვიქნებოდი და მერე როგორ ვიქნებოდი! მე ჩემს თავს შენზე დიდ გმირად ჩავთვლიდი: ჩემი ქმარია, ჩემი, სხვისი კი არა-მეთქი, ვიტყოდი. სოფელში ყელმოღერილ-გაყინჩული ვივლიდი, ქალებო, დედაკაცებო, შემომხედეთ, ნახეთ, თავი როგორ გამოვიჩინე-მეთქი.

ანდრეი. (გამწარებით). თავჩამომხვრჩალის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენ... გაჩერდი...

ნასტენა. ვითომ, რაო? რატომ გავჩერდე? შენ ცუდი ბედი გერგო, ეტყობა, ბოლომდე, როგორც საჭიროა, ისე ვერ გაგიფრთხილდი. შენ ჩემი ან არა გჯეროდა, რაკი ვერ გაუძელ, ან ჩემი ხელი დაგაკლდა, ვერ მიზრუნია შენზე რიგიანად, ან კიდევ სხვა რაღაცა იყო. შენ მე ნუ მეუბნები, ბრალი არაფერში გიდევსო, მე კარგად ვხედავ, რა ბრალიცა მაქვს. აბა, ასე რო მომხდარიყო, ვთქვათ, ისე, სიტყვაზე, არ დაგლოდებოდი და ვინმეს გავყოლოდი. მარტო მე დამადანაშაულებდი?

ანდრეი. აბა, კიდევ ვისა?

ნასტენა. არა, შენი ხელიც ერეოდა ამაში. აბა, შენი ხელი როგორ არ ერეოდა? შენ თუ არ მიბიძგებდი, მე სხვასთან არ წავიდოდი. იქნებ, არ გვახსოვს, მაგრამ, იქნებ, ეს ერთად გადავწყვიტეთ, თორე მარტო მე ვერ გავბედავდი. ღმერთო, ჩემო, რაზე ვლაპარაკობ! იმის თქმა მინდოდა, რომ ასე ნუ გავიყოფით, ანდრეი: შენ ესა, მე — ესა. მე და შენ სამუდამოდ შევერთეთ ერთმანეთს. ლხინში ერთად ყოფნა იოლია: სიზმრისა არ იყოს, მიდი, უყურე, ნურაფერი გედარდება. ჭირში უნდა ვიყოთ ერთად, ჭირში — ადამიანები ამისთვის ულლდებიან, ანდრეი.

ანდრეი. ჭირიცაა და ჭირიც, ნასტენა. მე დამნაშავე ვარ და კანონი მსჯის. ჩემი არ მეყოფა? მე დავაშავე და შენც რატო უნდა გამოხვიდე დამნაშავედ?

ნასტენა. ახლა ეგ კითხვა დაგვიანებულია. ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, აი, მაშინ, როცა იმ ნაბიჯს დგამდი. ჰოდა, რაკი ის ნაბიჯი გადადგი, მეც თან გამიყოლე. სხვაგვარად მე არ შემიძლია. შენ თვითონ ამბობდი: ერთი ჯაჭვითა ვართ გადაბმულნიო. ასეცაა. ოღონდ გჯეროდეს ჩემი, გჯეროდეს, თორე ორივეს გაგვიჭირდება, ჩვენს თავს ჩვენვე მოვუღებთ ბოლოს. შესაძლოა, მე ჩემთვის სხვაგვარი ბედი მინდოდა, მარამ სხვებს სხვა ბედი შეხვდათ, მე ასეთი მერგო. და არ ვნანობ, რომ ასეთი ბედი მერგო. ეს ბედი ჩემია, ჩემი ბედია. კიდევ მოევლება ყველაფერს, ანდრეი, ეშველება ყველაფერს. არ შეიძლება არ ეშველოს. აი, ნახავ, თუ არ ეშველება. მე კი ახლაც კარგადა ვგრძნობ თავს. შენთან ვარ და ამიტომა ვარ კარგად, სხვა ყველაფერი ჩემგან სადღაც შორსაა, ძალიან შორს. რა იყო, არ მახსოვს და რა იქნება, ვერ ვხედავ. არც ვიცი, იქნება აწი კიდე რამე? ასე მგონია, მე და შენ, ჩვენ ორნი, საუკუნოდ ვიქნებით ამქვეყნად, ასე — როგორცა ვართ. ოღონდ, წვერს გაგაპარსინებდი, წვერიანი რაღაც უცხოსავით ხარ. ვერ ვეჩვევი, არ შემიძლია და რა ვქნა, მომკალი, თუ გინდა.

ანდრეი. ასე რატომ ერთხელ მაინც არ ვილაპარაკეთ ადრე. ხო შეიძლებოდა სუ სხვანაირად წასულიყო ჩემი საქმე, სხვა პირით დავნახებოდი ქვეყანას. თუ მხოლოდ თავს ვიტყუებ და მაინც უკუღმა უნდა წამსვლოდა ცხოვრება? მაგრამ ასე რო არ გვილაპარაკია, ფაქტია. ერთ-ორ სიტყვას თუ გადავუგდებდით ერთმანეთს, ისიც ისე, სუ უბრალო რამეზე, თითქმის არაფერზე. ოთხი წელი კი უნდა გვყოფნოდა, რომ ერთმანეთისთვის უფრო ღრმად ჩაგვეხედა გულში, გაგვეგო ვის რა უზის იქ, გულის სიღრმეში, მე კიდევ, ვხედავ, როგორც საჭიროა, ისე არა მცნობიხარ. შენ ჩემს გვერდით იყავი, მაგრამ ვინა მყავდი, რისი პატრონი ვიყავი, არ ვიცოდი. ის კი არადა, მიცემიხარ კიდეც... ჰო, არც უმაგისობა ყოფილა.

ნასტენა. შენ მე არ გიცემივარ.

ანდრეი. არ მიცემიხარ?

ნასტენა. არა.

ანდრეი. ჯავრი და ხინჯი არ გინდა გულში ჩაირჩინო, გეტყობა. შენ მე კი არა, სხვა კაცი უნდა გყავდეს. შენ ხო არ გგონია, ისე ვამბობ, სერიოზულად გეუბნები. აი, თურმე რანაირი ყოფილხარ შენა! არა, ისე, ჩემი ცოლობა რა ეშმაკმა გაფიქრებინა? ვერაფერი გამიგია.

ნასტენა. მე სხვა არავინ მინდა, შენთან კარგადა ვგრძნობ თავს.

ანდრეი. ეჰ, ვიცი, რა კარგადაც გრძნობ თავს...

ნასტენა. შენა, ანდრეი, არაფერი გესმის, არაფერი... თვალები სადა გაქვს, ადამიანო, ნუთუ ვერა ხედავ, შენთან მე კარგადა ვარ თუ ცუდად? შენ რო მომიყვანე, აქ კაციშვილს არ ვიცნობდი, ყველა უცხო იყო ჩემთვის, ყველა. შემიძლია ვთქვა, რომ თვალდახუჭული მოგდევდი საითაც წამიყვანდი, იქით წაგყვებოდი. მე ხო შენ თითქმის არ გიცნობდი, ორჯერ — სამჯერღა ვიყავით ერთმანეთს ისე, ჰაიჰარად შენახვედრი! ერთმანეთს სიტყვა ხო მასხრობა-მასხრობით მივეცით, უკანასკნელ წუთამდე არ მჯეროდა, რომ მოხვიდოდი. იცი, რა დღეში ვიყავი? გახსოვს, გემიდან რო ჩავედით, მაღლა ახედვას ვერ ვბედავდი. სწორზე მივდიოდით, მაგრამ ძლივს მივფორხიალობდით. შემატყვე, რო ცუდი დღე მადგა, ხელი მომკიდე და ისე წამიყვანე. მივდივარ შენთან, სახლში და შენიანებს ეუბნები: აი, ჩემი ცოლიო. დედაშენი მიყურებს და ხმას არ იღებს. შევატყვე, რომ მაინცდამაინც არ მოვუვედი თვალში, ეგ შეიძლება უფრო სხვანაირ რძალს ელოდა. შენც შეატყვე და უთხარი: ეგ აქ მარტოა, — ჩემზე უთხარი, — გამომსარჩლებელი არავინა ჰყავს, მოდით, ნუ დავიბრიყვებთო. თითქო ხუმრობითა თქვი, სიცილ-სიცილით, მაგრამ სულაც არ ხუმრობდი. აი, მაშინ ვირწმუნე, რომ შენ ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებდი, ვიგრძენი, რომ შენთან არაფერი გამიჭირდებოდა. იმავე საღამოს შენ მე ახლობლებთან, მეზობლებთან გადამიყვანე. თავის მოსაწონებლად კი არ წაგიყვანივარ, აქაოდა, შემომხედეთ, რა ცოლი მყავსო, იმიტომ წამიყვანე, რომ თავიდანვე გავცნობოდი ყველას და დამენახა, რომ მე ხალხისთვის უცხო სულაც არ ვიყავი. მერე, მახსოვს, ჩვენ ყველამ, — მამაშენმა, დედაშენმა, შენ, მე — ჩაი დავლიეთ. ის თუ გახსოვს, როგორ ჩამოვდიოდი შენთან, კარდაში, როცა კურსებზე სწავლობდი? დილას რო არ წახვედი შენს სასწავლებელში, გახსოვს? ჩემთან მოირბინე კოლმეურნეთა სახლში და იქვე, გზისპირა სასაჩაიეში შევედით. იქა, მაგიდაზე იმხელა, უზარმაზარი ჩაიდანი იდგა! ...იმხელა ჩაიდანი ჩემს დღეში არ მენახა. ონკანიდან ჩაი ილვრებოდა და ქვემოთ საგანგებოდ ედგა ღრმა თეფში, რომ ჩაი სუფრაზე არ დაღვრილიყო. მიკვირდა, ონკანს პირს ვერ მოურჩილავენ-მეთქი? მახსოვს, შენ ქაღალდში გახვეული კამფეტიც მიყიდე და ჩაის იმით ვსვამდი. თაფლის კანფეტი თუ იყო. გემოს ნუ იტყვი! მერე როგორ იწელებოდა! იმის გემო დიდხანს მქონდა პირში. შემდეგ მე და შენ ბევრი, ბევრი ვიარეთ, სადღა არ ვიყავით. წუთითაც არ მომშორებიხარ, გიხაროდა კიდეც, რო ერთად ვიყავი, გეტყობდი, ნამდვილად გეტყობდი, რო გიხაროდა. მე ხო, მე სიხარულისგან ვფრინავდი! ზამთარი იდგა, ყინავდა, მაგრამ სიხარულისგან ვვარვარებდი. მივდივარ და ვგრძნობ, შიგნიდან როგორ მაწვება სახეზე სითბო და ვხედავ, როგორ მითრთის ხელები. მე ხო თავიდან მეშინოდა, რო მკითხავდი: რატო ჩამოხვედი, ნეტაო? არა, ისე, მართლა რატო ჩავედი მაშინ კარდაში? ამას სიტყვით ხო ვერ ახსნი. ისეთი საქმე შენთან არაფერი მქონდა — მომინდა და ჩავედი. მერე გაუთავებლად ვსეირნობდით, კაცი სწავლას მოგაცდინე. კინოში რო შევედით! გახსოვს? ერთად ვუყურეთ კინოს! რა ოხერია მაინც, ეს მეხსიერება! ყველაზე მთავარი კილამ არ დამავიწყდა? ყველაზე ბოლო რიგში ვისხედით, სარკმლის ქვემოთ, აი, საიდანაც კინოს სინათლე გამოდის. შენა მომეხუტე და მიჩურჩულე: იქნება, ხვალ არ წახვიდე, იქნება, ზეგამდე დარჩეო? მე თანხმობის ნიშნად თავს გიქნევ, თან ცრემლი ღვარღვარით ჩამომდის სახეზე: დარჩიო, შენ თვითონ მითხარი, შენ თვითონ! გული ამოვარდნაზე მქონდა. ეჰ, ანდრეი! შენა, კიდე, მეუბნები: ჩემთან შენ არ გაგიხარიაო. მე შენთან არ გამიხარია?! რას ამბობ, თუ იცი, არა, თუ იცი-მეთქი! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! დაფიქრდი, ადამიანო, მე სხვა რა მინდა შენგან, რა?

(ანდრეის ხრიალი აღმოხდება).

ანდრეი, რა გემართება, ანდრეი? რა გემართება, რა?

ანდრეი. (შეშლილივით). არაფერი მიჭირს, არაფერი, ნასტენა. შენ აქა ხარ, შენ ჩემთან ხარ.

ნასტენა. (შეშინებულია). ანდრეი!..

ანდრეი. ღმერთო ჩემო, ღმერთო, ეს რა ჩავიდინე! (იწევს, თავს ურტყამს კედელს). ეს რა ჩავიდინე, ნასტენა? მეტად ნუ მოხვალ ჩემთან, გესმის, ნუ მოხვალ? მეც წავალ აქედან. სულ წავალ. ასე სიცოცხლე არ შეიძლება. მეყოფა. მეყოფა, რაც ვიტანჯე და შენც გტანჯე. მეტი არ შემიძლია, არ შემიძლია!

ნასტენა. რას ამბობ, ანდრეი?! კარგი, შენ წახვედი, მე რას მიპირებ? მე რა დღე მელის, ამაზე თუ იფიქრე? ეს ცოდვაბრალიანი, ორსული ქალი ვიღს მივადგე? ხალხში გამოსაყოფი თავი მაქვს, ვის რა ვუთხრა, ვინა ვარ-მეთქი? ისევ ერთად, რაც მოგვივა, ერთად მოგვივიდეს. ცოტაც მოვითმინოთ, ანდრეი, მოვითმინოთ, ნუ იჩქარებ. იქნებ, ყველაფერს ეშველოს. უნდა ეშველოს, ანდრეი. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ჯერ კიდევ როდის იყო, რო იტყოდა: არ არსებობს დანაშაული, რომლის მიტევებაც არ შეიძლებოდესო. ისინი კი, როგორა გგონია, ადამიანები არ არიან? ომი დამთავრდება — ვნახოთ, როგორ წავა ჩვენი საქმე. იქნებ, ყველაფრის აღიარება და მონანიება გახდეს შესაძლებელი, იქნებ — სხვა რამე, რა იცი. ოღონდ მოითმინე. ნუ წახვალ. შენა მარტო თუ დარჩი, დაიღუპები. მეც დავიღუპები — მე შენზე ადრე დავიღუპები. ახლა ვიცი მაინცა, სადაც ხარ. ბავშვი, ანდრეი, ბავშვი? ქვეყანაზე ხო შენ ერთმა იცი, რომ ბავშვი შენია და არა ვისიმე სხვისი. სხვას ვის რა ვუთხრა, ვინ მეტყვის ნუგეშის სიტყვას?

(ანდრეი თანდათან მშვიდდება).

ეგრე, ჩემო კარგო, ეგრე. ნურაფერს აიხირებ, გთხოვ. მარტო არა ხარ, მარტო რო იყო, შენი საქმე შენ გეცოდინებოდა, რასაც გინდა, იმას იზამდი (ერთხანს უსიტყვოდ აწყნარებს მას) ადე, ანდრეი, წავიდეთ. გაგაცილებო, ხო მითხარი. ჰოდა, გამაცილე, მეტხანს ვიქნებით ერთად, მეტხანს.

## მერვე სურათი

## გამარჯვების დღე

სოფლის ქუჩა, რომელიც, მოქმედების განვითარების შესაბამისად, თანდათან ივსება ხალხით.

ნესტორი. (ჰაერში ისვრის). ე-ჰე-ჰეი, ხალხნო! კრებაზე გამოდით ყველანი, უკლებლივ! გაიმართება კრება-სხდომა... დგომა... რაც გინდათ, ის დაარქვით! შემთხვევისა გამო... გამარჯვების გამო, ხალხნო!

ლიზა. შენა, ხო არ გადაირიე?

კატერინა. რა ზალპი და ბათქაბუთქი აგვიტეხე, ჰა?

კაპიტოლინა. მშვიდობით მაგვიხვედ ომიდან, გენერალო!

ნესტორი. ზალპი, ზალპი, ქალებო! ზალპი-მეთქი, გესმით თქვენ თუ არა? არა, დღეს ზალპი მივცეთ თუ არ უნდა მივცეთ, რას იტყვით?

რწმუნებული. (ბრანცალებს). უნდა მივცეთ, ნესტორ ილიჩ, უნდა მივცეთ.

ნესტორი. ჰოდა, ზალპი, ზალ-პი მეთქი! (ისვრის).

რწმუნებული. როგორც კი ეგ გავიგონე, მაშინვე თქვენ გამახსენდით. ვფიქრობ, რადიო იმათ არა აქვთ და როგორ გაიგებენ-მეთქი.

(შემოდის მაქსიმი, გიმნასტურაზე ორდენები უკეთია).

მაქსიმი. (აღელვებულია). ყველას დაუძახეთ, ყველა მოვიდეს. კაციშვილი არ დარჩეს თავის სახლში. დღეს სხვა დღეა!..

ნესტორი. ფსონი გავმართოთ. რაცა გვაქვს და რაც არა გვაქვს, ყველაფერი გამოიტანეთ.

მაქსიმი. ვიდრე ომი იყო, ყველა მაგრად იდგა და დღეს ყველა აქ უნდა იყოს. ვისაც არ შეუძლია, ხელითაც რომ გამოვიყვანოთ, აქ უნდა იყოს. დღეს სხვა დღეა!

ნესტორი. პირველ რიგში ის მოიტანეთ ხელით, აი, ისა — შინნახადი, — ჩვეჩბურად ასე ითარგმნება. უიმისობა დღეს არ გამოვა. ვისაცა აქვს და არ გამოაჩენს, დღეს, აი, სწორედ დღეს — ხალხის მტერია, ამას წყალი არ გაუვა.

რწმუნებული. (ნესტორს უყვება). მეუბნებიან, შენა, იქ როგორ ჩახვალ, თუ კაცი ხარო? ჩვენ, შენიანებს, გტოვებ და იქ მიდიხარო? მე კიდე — საჭიროა, საჭიროა-მეთქი.

(შემოდის ინოკენტი ივანოვიჩი, შემოაქვს პატეფონი).

ნესტორი. ინოკენტი ივანოვიჩი მუსიკითურთ მოვიდა! ყოჩაღ, ყოჩაღ, სწორი საქციელია. ეგრე უნდა, ჭეშმარიტად! გამარჯვების ჟამს მუსიკა უნდა ჟღერდეს! (უნდა პატეფონი გამოართვას).

ინოკენტი ივანოვიჩი. გაიწი, არ გაგივარდეს, მე თვითონ ჩავრთავ, ეგა, — მუსიკაზე ვამბობ, — მე უკეთ მიცნობს.

რწმუნებული. შენა, ინოკენტი ივანოვიჩ, ისეთი დაქოქე, რო მომენტს შეეფერებოდეს.

(ქალებს მაგიდა შემოაქვთ, სუფრას შლიან).

ნასტენა. ნადკა, ლიზა, ამ დღესაც ხომ მოვესწრით! (ეხვევა დაქალებს).

ლიზა. შენა, რა გიხარია, ნასტენა?

ნასტენა. მიხარია რომელია.

ლიზა. შენს ანდრეის ელოდები?

ნასტენა. აბა, არ ველოდები? (მაქსიმთან მიდის). მოვესწარით, მაქსიმ, ამ დღეს, მოვესწარით (კოცნის).

მაქსიმი. კიდე ვის უნდა მაკოცოს, ქალებო! მოდით, მოდით, ვიდრე ჩემი ლიზა კარგ გუნებაზეა.

ლიზა. კარგ გუნებას მოგცემ მე შენა! მე მხოლოდ ნასტენას ვაძლევ შენი კოცნის ნებას, ისიც სესხის სახით, ვიდრე ანდრეი ჩამოვიდოდეს. სხვას არავის!

რწმუნებული. (მღერის).

„ჩვენ სხვა ნიჭი გვაქვს, სხვა ნიჭი,
მტკიცეა ჩვენი ნაბიჯი!"

ლიზა. მტკიცეა, კი, მტკიცეა. (სკამზე დასვამს).

ნასტენა. ინოკენტი ივანოვიჩ, მოვესწარით!

ინოკენტი ივანოვიჩ. მოვესწარით, კი. შენი კაცისგან არაფერი ისმის?

ნასტენა. არაფერი, ინოკენტი ივანოვიჩ, ჩამი-ჩუმი არ ისმის იქნება, შენ გაიგე რამე, მითხარი...

ინოკენტი ივანოვიჩ. მე საიდან უნდა გამეგო? რაღაც უცნაური გჭირს, ქალო, შენა...

ნასტენა. თუ რამე გაიგო, მითხარი, ნუ დამიმალავ, ინოკენტი ივანოვიჩ. შენ ხო ყოველთვის სხვაზე ადრე იგებ ყველაფერს. მე თუ რამე გავიგე, გეტყვი, ინოკენტი ივანოვიჩ, ნუ გეეჭვება.

ინოკენტი ივანოვიჩ. შენა, ხო არ ააფრინე?

ნასტენა. კი, ავაფრინე.

ინოკენტი ივანოვიჩ. ეგ რო ეგრეა, გეტყობა.

ნესტორი (ეგებება ახალმოსულთ). ნატალია, ქალო, დასაყოლებელი მოგაქვს? არა უშავს, არა უშავს, დასაყოლებელიც დაგვჭირდება.

(ვარვარას ბიდონი შემოაქვს).

გაიწი, ნატალია, იქით გაიწი, ვარვარა გამოატარე აქეთ. ვარვარას ის მოაქვს, შენ ხარ ჩემი ბატონო, რისთვისაც დასაყოლებელი მოუგონია ღმერთს. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ესეა, ო, ვარვარა აგერა მყავს, ახლა შენც მოიტა ეგ შენი დასაყოლებელი.

მაქსიმი. მოდით, ძვირფასებო, ახლობლებო, მოდით (დედაბრებს ჩამოსვამს).

ნესტორი. (ეგებება სემიონოვნასა და მიხეიჩს). ყოჩაღ, სემიონოვნა, ყოჩაღ, დღეს ისეთი დღეა, ყველა უნდა დაფრინავდეს. ფეხი რას დაგვაკლებს ჩვენ! (ხელს აშველებს).

სემიონოვნა. ალ მინდა, ალ მიჭილს...

ნესტორი. შენ ეს რა პაწა ჭურჭელი მოგაქ, ალათია დეიდა? რაო, რაო, სპირტიაო? სპირტი საიდანა გაქ? ჯერ ისევ ომამდელიაო, ამბობ? აბა, ეგ ისეთი მაგარი იქნება! რატო შორიდანვე არ დაიძახე, დეიდა ალათია, რაშზე შევჯდებოდი და ისე შეგხვდებოდი?

მაქსიმი. ყველანი აქა ვართ? დავიწყოთ, აბა, რაღას ველოდებით. ჩამოსხედით.

ნესტორი. ყველანი სუფრასთან! არ დამიწყოთ ახლა, ესაო, ისაო, ყველანი დასხედით. ვბრძანებ!

(ყველანი სხდებიან გაშლილ სუფრასთან. მაქსიმი წამოდგება)

მაქსიმი. ხალხნო...

ნესტორი. სიწყნარე იყოს! ყველამ, როგორც ერთმა, მოვისმინოთ რას გვეტყვის ფრონტელი კაცი, ჩვენი ახალი თავმჯდომარე. მოუსმინეთ, მე კი არ ვლაპარაკობ, ეგ ლაპარაკობს!

მაქსიმი. ხალხო! მე დიდი მოლაპარაკე არა ვარ, იცით. ახლა სხვა ვინმეს უნდა ელაპარაკა. თუმცა, რა უნდა ვილაპარაკოთ! რაღა დროს ლაპარაკია — გავიმარჯვეთ, ხალხნო, გავიმარჯვეთ! ამ დროს სათქმელი სიტყვები ჯერ არ მოუგონიათ. მაგრად დავხვდით მტერს, გავუძელით, სულ ძუნძულ-ძუნძულით ვარბენინეთ თავის ბუნაგამდე და პირსისხლიან მხეცს, შეჩვენებულ ჰიტლერს ხერხემალი გადავუმსხვრიეთ. მე იქ ვიყავი, ვიცი, რაც ხდებოდა. ბოლმა მკლავს. თქვენ ყველაფერი იცით. ახლა ყველა ჩემი ამხანაგი, ვინც ცოცხალი დარჩა, შინისკენ მოისწრაფვის, რომ ჩვენი ცხოვრება წინ წასწიოს. ქვეყანა მძიმე დღეშია. სადაც კი ომმა გადაიარა, საფლავებისგან მიწა ამაღლებულია... მიწა გაგვიდიდდა, მუშახელი — შეგვიმცირდა. საჭიროა კი ამდენი ლაპარაკი?! ჩვენ იქ ვერაფრით ვერ გავუძლებდით მტერს, უთქვენოდ, აქ დარჩენილების გარეშე, იმიტომ, რომ კაცი იბრძვის, ქალი კი მას არჩენს, კაცი მხეცს ებრძვის, ქალი და ოჯახი კი ათასი ვერსის იქიდან მის გულს სითბოთი ავსებს, ესათუთება, რომ კაცი არ გამხეცდეს, რომ მას გული ქვად არ ექცეს. უთქვენოდ ჩვენ ვერაფერსაც ვერ გავაკეთებდით და არც ეს დღე დაგვიდგებოდა. დიდია, უზარმაზარია, ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ამ ჩვენი პაწაწა ატამანოვკის გარეშე გაუჭირდებოდა. და ჩვენ იქაც ვიბრძოდით და აქედან ვეხმარებოდით ქვეყანას. ფეხზე ავდგეთ, ხალხნო, წამოვიმართოთ და ერთი კარგად შევხედოთ ამ ჩვენს დღევანდელ დღეს, შევხედოთ და სამუდამოდ აღვიბეჭდოთ იგი გულში. ჯერ არ ყოფილა ასეთი ომი და, აქედან გამომდინარე, ჯერ არც ასეთ გამარჯვებას მოსწრებია ვინმე. ჭიქა ავწიოთ, ხალხნო!

(ყველანი ფეხზე დგებიან, ჭიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს, სვამენ და სხდებიან).

ნესტორი (როცა დასცალა). ჰუი, ალათია დეიდა, ჰუი! მართალი გითქვამს, მართალი! დედა, რა მაგარია! ჭეშმარიტად ოთხმოცდათექვსმეტპროცენტიანია, ღმერთმანი!

რწმუნებული. (ცდილობს სიმღერა ააგდოს).

ჩვენა? რკინის ცხენებით,
არა სვენებ-სვენებით...
რკინის მუხლით, ჭენებით....

ალათია. მაგრათაა! როგო ავა ეგა ახლა სახლში?

კატერინა. ისე, ომი დამთავრდაო, ამან ხო არ მოიგონა? რა იცი, ისეთი მთვრალია. იქნება, რაღაც მოელანდა, მოეყურა?..

რწმუნებული. (წამოიწევს). რაო, რაო? იქნება, მოიგონაო? რას ამბობთ, თუ იცით? ამისთანა რამის მოგონებას ვინ გაბედავს? ფიქრობთ, მაინც, რას ამბობთ? მე თქვენკენ გულამოვარდნილი მოვაჭენებდი ცხენს... რო გაგეგოთ, რო გახარებული-ყავით. ჩვენებს, ახლობლებს გამოვექეცი, თქვენთან მოვედი... ვირო, მადლიო, ესაა... არა, რამხელა გულბოროტი უნდა იყოს კაცი, რო ეს მოიგონოს... რას ამბობთ, თუ გესმით?

კაპიტოლინა. არა, არ მოუგონია, არა. ამისთანა რამის მოგონება შეიძლება? თქვენც იტყვით, რაღა?

ვასილისა. არა, ისეთ რამეს, მართლა და მართლა, ვინ გაბედავს?

ალათია. ეგა ხო ფხიზელი ჩამოვიდა. აქა სამახარობლო დაალევინეს კაცს.

ვერა. ტყუილად რატო გინდათ კაცს გული ატკინოთ. ოცი ვერსი ირბინა კაცმა აქამდე, ეხუმრებით?!

ნესტორი. დაუსხით იმას, დაუსხით. დალიოს.

კაპიტოლინა. და გვაპატიოს. ჩვენა ხო კაი უსინდისოები ვართ...

კატერინა. ეგ ეგრეა. უსინდისოები ვართ.

რწმუნებული. რაიონში თქვენზე მე ვარ პასუხისმგებელი — ყოველნაირად. როცა თქვენთვის ყურის აწევაა საჭირო, მაშინაც და როცა გამარჯვების აღნიშვნაა საჭირო, მაშინაც! მე ასე მესმის. თქვენა გგონიათ, ძალიან მსიამოვნებს, რომ სესხის ფული უნდა დაგადებინოთ, მოსავლის აღების დროს პური რო უნდა შეგაწეროთ, გადასახადების გამო რო უნდა გეჯიჯლინოთ? არა, როგორა გგონიათ, მსიამოვნებს? არ მსიამოვნებს... მაგრამ საქმეს ვაკეთებ. მევალება. დღეს მე ეს მევალებოდა. თვითონ დავივალე. ვიცი, რო თქვენა რადიო არა გაქვთ, ვიცი, რო ცნობას ელით. რაღაი პასუხისმგებელი ვარ, ყველაფერში პასუხისმგებელი უნდა ვიყო. ასე მესმის მე.

მაქსიმი. ჩვენთან ყველამ გაიგო? ხო არავინ დაგვრჩა?

ვასილისა. ყველამ იცის, აბა, რა. ისეთი ბათქა-ბუთქი ატეხეს. ცოცხლები კი არა, მკვდრებიც გაიგებდნენ საფლავში.

ლიზა. სტეპანე პაპა, სტეპანე პაპა სადაა? ეგა გუშინს აქეთია რაღაცას უჩხიკინებს წისქვილში. ნამდვილად არ გაუგია.

კატერინა. სროლის ხმას ეგეც ხო გაიგებდა?

ვასილისა. გაიგებდა, არა! იმას ხო სულ არ ესმის.

ვერა. საწყალი სტეფანე პაპა, იმას ჰგონია, ჯერ ისევ ომია და ვიბრძვით.

ალათია. ვინმე უნდა გავაგზავნოთ, თორე არ ივარგებს.

რწმუნებული. (წამოიწევს). მე წავალ... მე ჩემს მოვალეობას ბოლომდე მოვიხდი. პაპასაც კი არ დავტოვებ...
(დასვამენ).

ნესტორი. დაჯე, შენ შენი მოვალეობა შესრულებულიცა გაქვს და გადაჭარბებულიც. იჯექი მანდ. ამ საქმეს ჩვენ მივხედავთ.
(გადის).

კაპიტოლინა. (მიაძახებს). ოღონდ, იქ ნურაფერს ეტყვი, აქ მოიყვა.

კატერინა. გათოკე და მოიყვანე.

ვერა. გათოკვა არც იფიქრო — შეგაკვდება ხელში.

სემიონოვნა. ღმერთო! ნუთუ მოვესწარით, ჰა? ახლა, აბა, ყველას შახლებში გაუშვებენ?.. ჩოლ-შვილს ნახავენ?

მიხეიჩი. ყველას ერთბაშად გაშვება არ შეიძლება.

სემიონოვნა. ლატო არ შეიჯლება?

მიხეიჩი. იმიტო... რა იცი, რა მოხდება, უჯაროდ ყოფნა როგორ იქნება...

სემიონოვნა. ჭინა ომში შვიდობა ხო ალ გამოუჩხადებიათ. ალავინ იჩოდა, დამთავლდა — ალ დამთავდა... გელმანელს შეეშვნენ და ელთმანეთს მიშდგნენ. ლო გამახსენდება... მაშ აქეთ შვიდობა ალჩა ყოფილა, მგონია. ჯელ კომუნიშთვის იბჯოდნენ, მერე კოლმეუღნეობისთვის... ლისთვის ალ იბჯოდნენ. ჰოდა, ღმელთმა, ეგენიო მაინჩ იბჯვიანო და...

მიხეიჩი. (აწყვეტინებს). რამდენს ლაყბობ, ქალო...

სემიონოვნა. ლატო ვლაყბობ. მალთალს ალ ვამბობ? მალთალს ვამბობ, მალთალს. ღმელთი ყველაფელს ხედავს ზემოდან. ამიტომაცაა, რომ გიტლელს კაპუტ!

ნასტენა. (თითქო თავისთვის ფიქრობსო ხმამაღლა). როგორ ელოდა ხალხი ამ დღეს, როგორ ელოდა! დღეს ყველა ზეიმობს. ხო მართალია, მაქსიმ, ყველა ზეიმობს, ყველა!

მაქსიმ. ყველა ზეიმობს, რასაკვირველია. რა გემართება, ნასტენა?!

ვერა. ნუთუ მშვიდობა იქნება, ხალხნო! ნუთუ, ომამდე რო იყო, ისე ვიცხოვრებთ? არა მჯერა, მომკალით და არა მჯერა.

მაქსიმი. ყველაფერი იქნება, ქალებო, ყველაფერი. აი, კაცები დაბრუნდებიან და...

ნადკა. მე ვინ უნდა დამიბრუნდეს?

მაქსიმი. მდა! ვინც ცოცხალი დარჩა — დაბრუნდება...

ინოკენტი ივანოვიჩ. (დგება). ჩემი ანგარიშით, ექვსი კაცი უნდა დაბრუნდეს. (ნასტენას). ექვსს ვამბობ, თუ ჩავთვლით ანდრეი გუსკოვსაც, რომელიც უგზოუკვლოდაა დაკარგული.

ნასტენა. ჰო, იმიანად ექვსი იქნება, სწორია, სწორი, ინოკენტი ივანოვიჩ.

ინოკენტი ივანოვიჩ. უბრალო ანგარიშის საქმე არაა? თითზე ჩამოთვლი ყველას. გავრილა როგოვი — ერთი, გოლუბევი — ორი, სტეპან სომოვი და ათანასე სომოვი — სამი და ოთხი, ივან სლობოდჩიკოვი — ხუთი, და ანდრეი გუსკოვი, თუკი იგი...

ნადკა. ჩემსას რატო არ ათვლი? თუ მეტი თვლა არ იცი, მოანგარიშევ!

ვერა. მაშინ ჩემიც მიათვალოს.

ინოკენტი ივანოვიჩ. (აუღელვებლად). იმიტომ, რომა თქვენა თქვენი ქმრების უწყებები მიღებული გაქვთ.

ნადკა. მერე რა, რო უწყებები მიღებული გვაქ. შენ მიათვალე, მიათვალე, ჩემი ჩამოვა. (გამომწვევად). ჩამოვა-მეთქი, ვთქვი და გავათავე. ჩამოვა და მაგ შენს ანგარიშს აგირევ-დაგირევს.

ვერა. თუ ესეა, ჩემიც ჩამოვა.

ნადკა. შენსაზე ვერაფერს გეტყვი, ჩემი რო ჩამოვა, ვიცი.

პაპა ეფიმი. რატომაც არა, ყველაფერი ხდება. აი, კარდაში, ჩემი მძახლის, ნასტასიას...

კაპიტოლინა. ბრატსკში, ამბობენ, ერთ კაცზე ორი შავი წერილი მოვიდა, ორივეგან ეწერა, მოკვდაო. ერთგან წერებულა, ასე მოკვდაო, მეორეგან — ასეო. ეგა, კიდე, ამდგარა და სახლში არ მოსულა... დაუჯერე ახლა ყველა უწყებას...
(შემოდიან ზურგს უკან ხელებგათოკილი სტეპანი და ნესტორი).

ნესტორი. (მხედრულ სალამს აძლევს). მაქვს პატივი აქამდე მოუხელთებელი ელემენტი თქვენი განკარგულებით მოგგვაროთ და მოგახსენოთ, რომ იგი წისქვილში იმალებოდა.

კაპიტოლინა. სულელი ხარ, ნესტორ, შენა. სულელი ხარ და, ღმერთო, დიდება შენ სახელს, მიკვირს, ამისთანა დამთხვეულის ხელში აქამდე როგორ გვიდგას სული?!
(პაპა სტეფანეს მიცვივდებიან, ხელებს შეუხსნიან და თითქმის ატატებული მიჰყავთ სუფრასთან).

ვერა. პაპა, პაპა, პაპუნა, სად იყავი, საკალელო?

ვასილისა. აი, სუ ვგრძნობდი, ჩვენ კი ვსხედვრთ, მაგრამ ვიღაც გვაკლია-მეთქი.

ვერა. ვფიქრობთ — ვინ გვაკლია, ვინ გვაკლია? თურმე, პაპა არ გვაკლია?

ლიზა. პაპა, გენაცვალე, პაპა, ომი დამთავრდა, გაიგე, პაპა!
(პაპა უსიტყვოდ ეთანხმება, შემდეგ პირჯვარს იწერს).
(ბნელდება).

## მეცხრე სურათი

## უკანასკნელი შეხვედრა

ნავიდან გადმოსული ნასტენა ანგარის სანაპიროს მოჰყვება, მისკენ ანდრეი მოდის.

ანდრეი. მე ვიცოდი, რო დღეს მოხვიდოდი, დილიდანვე ვიცოდი

ნასტენა. (გვერდზე მიდგება). ფრთხილად, შე დათვო, შენა! ასე ხო გამჭყლიტე... თვალში ვერ იხედები მაინცა? (მუცელზე იდებს ხელს).

ა ნ დ რ ე ი. არი?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ფაფამ გამბერა, აბა?

ა ნ დ რ ე ი. ვიცი, რო... ჯერ...

ნ ა ს ტ ე ნ ა. აბა, თუ არ იცი...

ა ნ დ რ ე ი. (მუცელზე ხელს უსვამს). მგონი, რაღაცაა, იმას ჰგავს...

ნ ა ს ტ ე ნ ა. რაღაცაა... იმას ჰგავსო... რაღაც იმას შენ ჰგავხარ. რაღაცაა კი არა, იგეთია... უკვე ვიცი, — აბა! — ბიჭია.

ა ნ დ რ ე ი. მე ვიცი, მაგრამ შენ საიდან იცი?

ნ ა ს ტ ე ნ ა. გინდა, გოგოზე დავნიძლავდეთ, რო ბიჭია!

ა ნ დ რ ე ი. ჯერ ეს გააჩინე.

ნ ა ს ტ ე ნ ა. გავაჩენ, მაგის გაჩენას რა უნდა? ჯერ არ მომხდარა, რო მაგი არ გაჩენილიყოს (პაუზის შემდეგ, ყოყმანით).
ანდრეი, შენ არ იცი, ანდრეი, ომი გათავდა!

ა ნ დ რ ე ი. ვიცი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. (გაკვირვებით). საიდან იცი, ვინ გითხრა?

ა ნ დ რ ე ი. თქვენი ბათქა-ბუთქი მესმოდა.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ხო-ო! ისროლეს... მე კიდე დიდი ვერაფერი ჩამოგიტანე. ცოტა პური და კვერცხი...
ეს ცხაურა წამოგიმძღვანიე. (უწვდის საჭმელს).
(ანდრეი თითქმის ჰგლეჯს ხელიდან).

ა ნ დ რ ე ი. ცხაურა რო წამოგიღია, სწორად მოქცეულხარ, ნასტენა, ცოტაც და მუმლი დაგვესევა, გაგიჟდები! (ამჩნევს, რომ ნასტენა მას აკვირდება). რას მიყურებ, არ მოგწონვარ, თუ....

ნ ა ს ტ ე ნ ა. ომი დამთავრდა-მეთქი... რა გველის ჩვენ, ანდრეი, რა გველის...

ა ნ დ რ ე ი. არ ვიცი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ჩვენ ორიდან ვინ უნდა იცოდეს, ანდრეი? რაღაც უნდა ვიღონოთ.

ა ნ დ რ ე ი. რა გინდა, რო ვქნა... აი, შენ რა გინდა, რო ვქნა...

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე რა მინდა, რო ქნა? მე... მე... ჩემი სურვილი რა შუაშია? სუ არაფერი ვქნათ, ანდრეი, თუ... შენა თქვი.

ა ნ დ რ ე ი. (ჭამას თავს ანებებს). რა ვქნათ? რა ვქნათ და, შვილი უნდა გააჩინო, აი, რა უნდა ვქნათ. გინდა, მოკვდი, ოღონდ, შვილი გააჩინე. მთელი ჩვენი ცხოვრება თავიდან ბოლომდე ესაა. ამისთვისღა შეამზადე შენი თავი, ამისთვისღა. მე? მე რა ვქნა? შენა, ალბათ, ბევრჯერ გიფიქრია ჩემზე: იმას იქ რამე არ მოეწიოსო. ვიცი, რო გიფიქრია, ვიცი. ახლა, აქედან, როცა ომი უკვე გათავებულია, სათქმელად ადვილია ყველაფერი. იქნებ, არც არაფერი შემმთხვეოდა. იქნებ, გადავრჩენილიყავი. მაგრამ რო მოვმკვდარიყავი? რო მოვმკვდარიყავი, მაშინ... ჰოდა, შენ თუ მაძალებ, ასე და ასე ქენიო. მე მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძლია. დამაცა, ნუ მაწყვეტინებ. სიკვდილი წუთის საქმეა, ნასტენა, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ამ ოთხ თვეში! — ამ ოთხ თვეში ჯვარს ვეცვი, ასი წლისა მოვიყარე, ოცდაათი წლის კაცი მეთქმის ახლა მე? სიკვდილი წუთის საქმეა-თქო, ნასტენა, მაგრამ მე უნდა ვიცოდე, უნდა ვიცოდე რისთვის ვკვდები. მინდა გჯეროდეს, გწამდეს, ნასტენა, რო ჯერ კიდე გამოგადგები, რო შენ კიდე შემოირბენ ჩემთან, ჩემთვის კი არა, შენთვის შემოირბენ. შემოირბენ, რო შვება იგრძნო...

ნ ა ს ტ ე ნ ა. მე კი ახლაც არ ვიცი, ვისთვის მოვირბინე...

ა ნ დ რ ე ი. მიაფურთხე ყველაფერს, ნასტენა. ყველაფერი დაივიწყე, ყველაფერი, ოღონდ ბავშვი გააჩინე. ამ ჩემს საქმეში შენცა ხარ ცოტათი გასვრილი. შენა კიდე სინდისიერი ხარ და იტანჯები. ბავშვს რო გააჩენ, შვებას იგრძნობ. შვილი გიხსნის ღვარძლისაგან, შვილი. ნუთუ ქვეყანაზე არის იმისთანა დანაშაული, იმისთანა შეცოდება, რომ შეიძლება, ჩვენმა შვილმა არ გამოისყიდოს? არ არსებობს ასეთი დანაშაული, ნასტენა. ეს იცოდე, იცოდე. ყველაფერი მოითმინე. ინას არაფერი დაუშავდეს, გახსოვდეს. როცა ძალიან, ძალიან გაგიჭირდეს, ჩემთან მოირბინე. გელოდებოდე იქნება. მე მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ, ამქვეყნად მე სხვა არაფერი დამრჩენია. თუ ნამეტანი გაგიწყალებენ გულს და გაგამწარებენ (გამძვინვარებით) — ყველას ყელს გამოვჭრი, გადავწვავ — გადავბუგავ, ღვიძლ დედასაც კი არ დავინდობ...

ნ ა ს ტ ე ნ ა. ანდრეი! ანდრეი!..

ა ნ დ რ ე ი. რა ვქნათო? მე არა ვფიქრობ რა ვქნათ, თუ რა. რა ფიქრებიც თავში მომდის, სუსხიანი, ეკლიანი ფიქრები მსუსხავენ, მზაფრავენ, მწიწკნიან... რა ვქნა, რა? მე, — იცოცხლე, იქით წავიდოდი, საითაც სხვა დროს მომდომებია წასვლა... მაგრამ მეშინია, ნასტენა, რო ძალიან დაგშორდე, მე მხოლოდ შენს გვერდით ვსუნთქავ... დილით ვიღვიძებ და ვფიქრობ: სად იქნება ახლა ჩემი ნასტენა — ფეხზეა თუ წევს? დღისით დავბორიალობ და ვფიქრობ: სადაა ახლა, ამ წუთას ჩემი ნასტენა, თუ ვახსოვარ და, თუ ვახსოვარ, რას ფიქრობს ჩემზე, ავად მახსენებს თუ კარგად? და აქედან გეხმიანები: მოითმინე, ნასტენა, მოითმინე-მეთქი. მოითმინე, გაჩერდი, სუ-მეთქი. ჰოდა, სუ, გაჩერდი. შენ ჩემთვის უკვე მხოლოდ ცოლი აღარა ხარ, — ცოლთან სახლში ცხოვრობენ, — შენ ჩემთვის მთელი ქვეყნიერება ხარ, ყველაფერმა შენში მოიყარა თავი, ყველაფერი შენში გაერთიანდა, და ამ მთლიანს, განუყოფელს ვერ დავაქუცმაცებ, ვერ დავანაწილებ. შენ კიდევ მეუბნები, რა ვქნათო? მეც ტვინს არ ვიხვრეტ ამაზე ფიქრით?! რა ვქნათ, რა ვქნათ, რა ვქნათ? იცი, ნასტენა, რითი მივათრევ ამ დღეებს? ახლა გრძელი, გულისგამაწყალებლად გრძელი დღეებია. მეც, ერთბაშად, საქმით არ შევიქციო თავი... დავდივარ, დავდივარ და ვეძებ, ზამთრიდან დარჩენილი თოვლი თუ მორჩა-მეთქი სადმე, იცი, როგორ მიხარია ხოლმე, როცა ნარჩენ თოვლს წავაწყდები: ზაფხულია, თბილა, ეგა კიდე, აქა-იქ, სადღაც, ულრანსა თუ ორმოში, არ მორჩენილა?! წევს დაჩეჩქვილი, ჭუჭყიანი, სულს ლაფავს, ცოტაც, ცოტაც და ძალა გამოელევა, მაგრამ ჯერჯერობით იგი არსებობს, ჯერჯერობით სიცოცხლეს ეჭიდება, ჯერჯერობით არ გამქრალა — აი, ეს მანუგეშებს მე, ამიტომ მიხარია მისი დანახვა რაღაც სასწაულად, თითქო ჩემს სისხლსა და ხორცს ვხვდებოდე.

ნ ა ს ტ ე ნ ა. იქნებ, გავათაოთ, ჰა? იქნებ, დღის სინათლეზე გამოვიდეთ? მე შენთან, სადაც გინდა, კატორღაშიც კი წამოვიდოდი. სადაც შენა, მეც იქა. ასე ცხოვრება უკვე აღარ შემიძლია. შენც აღარ შეგიძლია უკვე, ვერ ხედავ რას დაემსგავსე, რა დღე დააყარე შენს თავს? ვინ გითხრა, ყველას ხვრეტენო? ომი დამთავრდა... ისედაც ამდენი ხალხი დაიხოცა, სუნთქვა გვიჭირს...

ა ნ დ რ ე ი (გამომწვევად). თავიდან მომიშორო გინდა, არა? ასე გადაწყვიტე, არა? მიდი, აბა, შენ იცი, მიდი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. ანდრეი!

ა ნ დ რ ე ი. გადამრჩები, ნასტენა, მოისვენებ. რა მეთქმის: დაიღალე ქალი, რამდენხანს უნდა გაუძლო. ისე, ნამუსიც კაი საქონელია, თვითონ ვერ უნდა მივხვდე, როგორც უნდა მოვიქცე? მორჩები ამდენ ტანჯვას, ნასტენა, ოღონდ, შენ რო ჩაიფიქრე, ისე არა შენთან წამოვალო, მეუბნები, აბა? შენ იცი, ხო იცი, რო ჩემთან ერთად კედელთან შენ არ მიგაყენებენ. შეგიბრალებენ, მუცლის გამო შეგიბრალებენ. მე კი მიმაყენებენ და შენ, უკვე სინდისის ქენჯნისგან თავისუფალი შენს გზას გაუყვები. არა, ისე, რავარია?

ნ ა ს ტ ე ნ ა. გაჩუმდი, ანდრეი, ახლავე გაჩუმდი. როგორ არა გრცხვენია, ენა როგორ გიტრიალდება ასეთი რამის სათქმელად?

ა ნ დ რ ე ი. მე, ნასტენა, თვითონვე მოვუვლი ჩემს თავს. მალე ვიზამ ამას, ნუ გეშინია, დიდხანს ლოდინი არ მჭირია. გინდა, აი, ხვალვე მოგასვენებ, თუ ისურვებ, გინდა, ახლავე, ა, ახლავე — ანგარა აგერ არაა? არც საფლავის გათხრა იქნება საჭირო, არც მიწის მიყრა. ბაწარიცა მაქვს გადანახული. ხუთ კაცს გაუძლებს. შენივ ნავიდან გადავხტები, შენა კიდე მაინც ანგარის გაღმა უნდა გახვიდე, გზად წამიყოლებ, ნიჩაბსაც მოგისვამ.

ნ ა ს ტ ე ნ ა. (სასოწარკვეთით). რატომ მელაპარაკები ასე, რატო... რატო? რა გაგიკეთე ამისთანა? მე ვფიქრობდი, ასე აჯობებს-მეთქი. მე ხო არ გაძალებ, თვითონ არ ვიცი, რა სჯობია. რაც მომაფიქრდა, ის გითხარი. შენა კიდე რას მეუბნები? რატო მექცევი ასე, რატო?

ა ნ დ რ ე ი. შენ მე იქითკენ ნუ მიბიძგებ, გაიგე? შენი ბიძგი მე არაფერში მჭირდება. პირველსავე დღეს გითხარი, არა-მეთქი. იცოდე, მე შენ უკან ვერ მიმაბრუნებ, ტყუილად ნუ ირჯები, არაფერი გამოგივა. ერთი ამას დამიხედეთ, რა კეთილი ვინმეა: ასე აჯობებდა, მეგონაო. ვიცი, ჩემო კარგო, რაც გინდოდა. ბოლოსდაბოლოს მიხვდი, როგორც უნდა გამისტუმრო იმ ქვეყანას, არა? მთელი ღამე იფიქრე, იფიქრე და მოიფიქრე, არა?

უკეთესს კაციშვილი ვერც მოიფიქრებდა! აი, ბადეც მომიტანე, როცა ხელ-ფეხს გავითოკავენ, კოლომ არ შეგაწუხოსო. არაფერში მჭირდება ეგ შენი ბადე, უმაგისოდაც იოლად გავალ. და მეტი არც არაფერი მჭირდება. მეყო. მაგრამ კიდე გეუბნები და დაიხსომე: ვინმესთვის გითქვამს, მე რო აქა ვარ, — ოთხში ამოგიღებ: მკვდარი მოვალ და დაგკლავ. გახსოვდეს, ნასტენა!

ნ ა ს ტ ე ნ ა. შემომხედე, ანდრეი, მე შემომხედე. არა, თვალს ნუ მარიდებ, შემომხედე-მეთქი. შემომხედე და მითხარი: ეგვარ მე იმ ქალს, ვისზეც შენ ლაპარაკობ? ღმერთი არა გწამს, ანდრეი, რაებს მიგონებ? მითხარი-მეთქი, ეგვარ მე იმ ქალს?

ა ნ დ რ ე ი. რა გინდა, ახლა, ბოდიშიც მოგიხადო? ფეხებში ჩაგივარდე?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ბოდიშის მოხდა არ მინდა. აი, ფეხებში კი მე თვითონ ჩაგივარდები, ოღონდ შენ ასე ნუ ილაპარაკებ. ნუ დაუჯერებ შენს თავს, ნუ დაიჯერებ იმას, რაც ახლა ილაპარაკე, თავს ნუ მოიტყუებ. ან თავში როგორ მოგივიდა ეგეთი აჩირებული აზრი, თითქო მე შემიძლია შენს სურვილს გადავიდე? ეგ როგორ იფიქრე, ანდრეი, როგორ იფიქრე? კარგად შემომხედე, შემომხედე, ასეთი ქალი ვარ მე? ნუთუ თვალში ვერ იხედები, ანდრეი?

ა ნ დ რ ე ი. ჩემს თავს არ დავუჯერო და, თურმე, ამას უნდა დავუჯერო...

ნ ა ს ტ ე ნ ა. შენ თუ შენს თავს რამეს მოუწევ, მეც მოგყვები, — ეს იცოდე. მეც ცოტა მუქილა ჩამრჩენია ამ თვალებში. იქნება შენზე ნაკლებიც...

(ბნელდება).

### მეათე სურათი

### ზარები

ამ სურათის მანძილზე ხან ძლიერდება, ხან სუსტდება ზარების ხმა,რითაც გმირის — ნასტენას ცხოვრების უკანასკნელი მოხაკვეთის ეტაპურობა გამოიკვეთება.

ქუჩა. გუსკოვების სახლთან დგას სემიონოვნა. შემოდის ნასტენა.

ს ე მ ი ო ნ ო ვ ნ ა. (უკმაყოფილოდ). შენა, ქალბატონო, ჯადლები უნდა მოგიჩინოს კაჩმა. ჯალიანაჩ ლო უნდოდეს კაჩს შენი ნახვა, ლას გნახავს. სად დაბოდიალობ, შად დაეხეტები?

ნ ა ს ტ ე ნ ა. (გულგრილად). აგერ ვიყავი, ახლოს...

ს ე მ ი ო ნ ო ვ ნ ა. ელთი სული გაქ, შახლიდან ლოგოლ გავალდე. კალგა ხანია გამშჩნევ, გამშჩნევ: შენა, ქალბატონო, ვინმე ხო ალ გაიჩინე? ე ჩემი ბელიკაცი შუ ჩდილობს დაგიჩვას, მაგლამ მე ველ გამაჩუჩულაკებ. ალჩ შაქონელი გახშოვს, ალჩ შახლი, ოღონდ კი შადღაჩ გავალდე. ლაშ გაჩუმებულხალ? მამა აბლამის ბატკანივით ალ გატლუწულა? მუჩელი ლაშ გამოგბელვია? ოლშულად ხო ალა ხალ, ქალბატონო? ლატო დუმხალ? შენ ლატომ ჭამოგეჟალდა მუჩელი?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ფეხმძიმედა ვარ.

ს ე მ ი ო ნ ო ვ ნ ა. ვაი-მე! (თავისი მტკივანი ფეხებით შეხტება). ვაი-მე! ტყუი!

(ნასტენა ანიშნებს, არა ვტყუიო).

ლაო, ლაო, ლას ამბობ, ქალო?! შე ჯუკნა, შენა! ჯუკნა, ჯუკნა! ვაი, შილჩხვილო! ვაი, თავის მოჭლავ! ყოვლად ჭმინდა ღვთიშმშობელო! ლატო ალ გახეთქავ მიჭაშ და ლატო ალ ჩაიტან შიგ ამ ჯუკნას. გაიქჩა კულოშთან, ველ მოითმინა! ვითომჩ ალაფელიო, შული უდგაშ ამ ჯუკნას. ანდლიუშკა ჩამოვა და ეგა უკვე გახაფილებული დახვდება! შირჩხვილი ლოგოლ ალა გკლავშ? შად დაკალგე შირჩხვილო, შად დაკალგე? ალა, შენა, იქნება, გამემახსლე, ჰა? იქნება, ალჩ ალაფელია და იშე მეხუმლე... ნუ მეხუმლები ლა, ნუ მეხუმლები აშე...

ნ ა ს ტ ე ნ ა. არ მიხუმრია.

ს ე მ ი ო ნ ო ვ ნ ა (ცნესით). ალ გიხუმლია? აბა, ოლშულადა ხალ? იშე ამბობ, თითქო აშე უნდა იყოშო? შირჩხვილი ლოგოლ ალ ჩაგიტანს მიჭაში? ანდლიუშკა ლო ჩამოვა, ლა ვუთხლათ? თულმე, ვინა გვყავდა სახლში? ვინ შეგვიკედლებია? ლოგოლი შირჩხვილი ვჭამეთ? შოფელშიჩ ხო გაიგებენ, ხალხი ხო ყველაფელს გაიგებს? ღმელთო! შად ჭაუხვალ ამ შირჩხვილს, შად? ამაშ შუ ფეხზე ჰკიდია ყველაფელი. კიო, ოლსულად ვალო. გაიქცა და დაოლსულდა! კატაა, კატა! მე შენა, ქალბატონო, პილველი დღიდანვე გაგიგე, ვინც იყავი. მაშინვე ვიგლძენი. ლოგოლიც ბრძანდებოდი. კატა ხარ, კატა! გაქუჩული, მლუში კატა ხალ! მოუშვი აქედან, მლუშო! შენი ფეხი ალ იყოს აშ ქოხში! შენი ბილჭი, უჭმინდული შული გაქლეშ ჩვენი შახლიდან! გაქლი, მოჩოჩხე, შანამ ამ ყავალჯნით თავი გამიხეთქია შენთვიშ. მოუშვი, ჭადი, შაიდანაც მოშულხარ, იქით, ჭადი.

(წყევლა-წყევლით გადის).

(ზარები რეკავენ. შემოდის ნადკა).

ნ ა დ კ ა. ვინ არის მანდ? ნასტენა? რა გჭირს, რა მკვდრის ფერი გადევს? ხო არაფერი შეგემთხვა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ცოტახანს გამაჩერებ შენთან?

ნ ა დ კ ა. (გაკვირვებით). ვისა, მენა?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ჰო, მე.

ნ ა დ კ ა. რა დაგემართა-მეთქი?

ნ ა ს ტ ე ნ ა. გამომაგდეს.

ნ ა დ კ ა. რას ამბობ, ერთი! შენ გამოგაგდეს?

ნ ა ს ტ ე ნ ა. (მუცელს უჩვენებს). აი, ხედავ?

ნ ა დ კ ა. რა არის იქ? ნუთუ?! აი... ისაა? არა... ისაა? ნასტენა.. ე-ჰე-ჰე! არა, მართლა! როგორ გაახერხე? ვერაფერი გამიგია. მოიცა, მოიცა?.. რა ხდება, ესა, რას მოვესწარი! არა, მგონი, მართალს ამბობს. არადა, არავინ არაფერი... არა, იმასქენი, აბა! ისე, სეირა თუ გინდა, ესაა! რას ერჩი, რა! ვინ გაგაიმასგქნა, მაინც?

ნ ა ს ტ ე ნ ა. სულიწმიდამ.

ნ ა დ კ ა. სულიწმიდა უძახე შენ... ასეც ვფიქრობდი, რო ეგ იზამდა, ეგ იზამდა, სხვა არავინ. საინტერესოა, მაინც, იცოდეს ადამიანმა... იქნებ, მეც მინდა იმ შენს სულიწმიდასთან გაშინჯვა...

ნ ა ს ტ ე ნ ა. ვერ მიეწევი.

ნ ა დ კ ა. ობლიგაციებზე რო ხელი მოგვაწერინა, იმან ხო არ გაგაიმასქნა? შენ რო კარდაში წაიყვანე? მაგან იმასქნა? რასაკვირველია, თუ საიდუმლოებაა, ნუ მეტყვი.

ნ ა ს ტ ე ნ ა. შემიშვებ შენთან, თუ არა? ცოტახანს შეგიძლია შენთან გამაჩერო?

ნ ა დ კ ა. შემიძლია, კი შემიძლია. აბა, სად უნდა გაგიშვა? თუ საქმე საქმეზე წავიდა, ერთად მოვიგერიოთ იერიშები. რისკიანი ქალი ხარ, შენა, ნასტენა, რისკიანი! დიდი საამური ცხოვრება არ გელის, გეთაყვა, მაგრამ, არაუშავს, ერთად გავაჯახიროთ, როგორმე, ეს დღეები. გაჭირვება ჩემთვის უცხო ხილი არაა. რაო, ასე ცარიელ-ტარიელი მოხვედი? არაფერი წამოგიღია? იქნება, მე წავიდე და წამოგიღო რაღაც-რაღაცეები?

ნ ა ს ტ ე ნ ა. არა. მე თვითონ წავალ შემდეგ.

ნ ა დ კ ა. თვითონ წახვალ, აბა! კარგი, ნუ დამძარდი ახლა! არ დაიღუპები. გავიტანთ თავს, როგორმე. აბა, ჩემი საქმეა საქმე? ქალის სახელი მქვია და მორჩა, სუ ეგაა ჩემი ქალობა. არა, შენა, მიდი, მიდი, ეგ გააჩინე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. რა ერქვა, მაინც, იმას?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ვის?

ნ ა დ კ ა. ვისა და შენს სულიწმიდას. სახელი თუ კითხე მაინც?

ნ ა ს ტ ე ნ ა. ნადკა...

ნ ა დ კ ა. კარგი, ჰო... შემდეგ... რაში მჭირდება მაგის სახელი. მე და შენ ხო უცხოები არა ვართ (გაქცევას აპირებს).

ნ ა ს ტ ე ნ ა. შენ საით?

ნ ა დ კ ა. (ოდნავ შემცბარი). მაინც ხო გაიგებენ... ახლა ხო მაინც ვერ დამალავ... (გარბის).

(ზარები რეკავენ).

ნ ა ს ტ ე ნ ა. სულ ზარების ხმა მესმანება, თითქო, მღერიან და, თითქო, ჩემთვის მღერიან. იქნებ, მხოლოდ მეჩვენება, თითქო, ისინი ჩემთვის მღეროდნენ? ნუთუ არის სადმე ვინმე, ვინც ჩემზე სრული სიმართლე იცის და ვისაც ესმის, რა მძიმე დღეში ვარ მე?.. ნუთუ, მე მაინც მარტო არა ვარ? სულ მარტო ყოფნა შეუძლებელია... მაშინ ადამიანი ვერ გაუძლებდა იმას, რაც მასში ხდება. ვინმე უნდა იყოს მასთან, აუცილებლად უნდა

იყოს ვინმე... არის ვინმე ჩემთან თუ არ არის? ცოცხალი ადამიანია იგი, თუ არ არის ცოცხალი ადამიანი? რაღას დუმხარ, რატომ ხმას არ იღებ? აი, ახლა, სწორედ ახლა უნდა შემეხმიანო. შენ ხო ხედავ... შენ ხედავ, რა დღეც დამადგა. თუ შენა ფიქრობ, რო ეს ჯერ საკმარისია და ყველაფერი არ გადამიტანია, ყველაფრისთვის არ გამიძლია? ღმერთო, სად არის ის, ვინც ჩემთანაა? რატომ დუმს იგი, რატომ?

(გამოჩნდება მიხეიჩი).

მიხეიჩი. იგი აქაა, ნასტენა. ნუ იტყვი, აქ არ არისო, ნუ იტყვი ამას. იგი აქაა, ვიცი მე. არავის არ უთხრა, მე ერთს გამიმხილე სიმართლე. მითხარი, ნასტენა, შემიბრალე.

(ნასტენა დუმს).

ერთხელ, ერთადერთხელ, ამ უკანასკნელად დამანახე იგი. ღმერთს გაფიცებ, ნასტენა, იმის სახელს, შემახედე. ღმერთი არ გაპატიებს, შენ თუ მე სიმართლეს არ გამანდობ. მინდა ვკითხო, რისი იმედი აქვს. შენთვის არაფერი უთქვამს? მითხარი. ჩვენს გვარში რაღა არ მომხდარა, მაგრამ ასეთი რამ... რა ქნა ამ ძაღლთაპირმა! რა დღეში ჩაიგდო თავი? შეგვახვედრე, ნასტენა, ერთმანეთს. გევედრები, გემუდარები — შეგვახვედრე. მინდა აქეთ ვაქნევინო პირი, გამოვიყვანო. შენც ხედავ, სხვა გზა იმას არა აქვს. ტყუილად ფართხალებს. ეყო. შემიბრალე, ნასტენა, შემიბრალე, მიშველე. შენც გულზე მოგეშვება.

ნასტენა. რაზე მეუბნები, მამილო? მე რისი თქმა შემიძლია? არაფერი ვიცი. აქ არავინაც არაა. შენ მოგეჩვენა, თითქოს აქ იყოს... არაა.

მიხეიჩი. ნუ მატყუებ, ნასტენა. აბა, ვის ატყუებ შენა? კარგი სიტყვით მინდოდა შენგან ყველაფერი გამეგო. ეგ მუცელი ხო იმისგანა გაქ, იმისგან! იმისგანა გაქ, აბა, სხვა ვისგან! თითქო მე შენ არ გიცნობდე. თითქო არ ვიცოდე, ვინა ხარ და როგორი ხარ. ეგ საკენკი შენა ჩვენს დედაბერსა და სულელ ქალებს დაუყარე, მე ვერ მომატყუებ. თოფიც იმას წაუღე შენა, იმას და სახლიდან ბევრი სხვა რამეც გაუტანე. (მუცელზე ხელს ადებს ნასტენას). აი, ჩემი სიტყვის საბუთიც. სად გინდა ეგ დამალო, როგორღა დამალავ-მეთქი, მე შენ გეკითხები?

ნასტენა. ნუთუ შენ თვითონ არ გესმის, მამილო, ყველაფერი? მე თქვენს ანდრეისთან ოთხი წელი ვიცხოვრე და არაფერი გვეყოლა, შენა კიდე, ახლა საბუთიო, ესაო, ისაო...

(მიხეიჩი გაეცლება. გადის).

დავიქანცე, მეტი არ შემიძლია. ნეტა, ერთმა ვინმემ მაინც იცოდეს, როგორ დავიქანცე. და მრცხვენია... რატო მრცხვენია ასე საშინლად ყველასი? ღმერთო, ამხელა რა დავაშავე, რა შევცოდე, რო ასე მრცხვენია? ნუთუ ასეთი სასჯელის ღირსი ვიყავი, ნუთუ?

(შემოდის ნადკა).

ნადკა. (ქლოშინით). გესმის, ნასტენა, გესმის? შენზე ამბობენ, ისაო, თითქო, თავისი ქმრისგანა აქვს მუცელი წამოზრდილი და არა ვინმე სხვისგანაო...

ნასტენა. (არც შიში ეტყობა და არც აღელვება). ჩემი ქმრისგან რო იყოს, რა უჭირდა. მაგრამ ოთხი წელიწადი წამოზრდილი მუცლით რომელ ქალს უვლია?

ნადკა. ეს სულ ინოკენტი ივანოვიჩის ვარაუდებია.

ნასტენა. შენა კიდე, უთხარი: ნასტენამ გადმომიკრა, ეგა, ახლა რო დაიბადება, ინოკენტი ივანოვიჩს ემგვანება-თქო.

ნადკა. ერთი იმას რა შეუძლია! ეგა იმიტომაა ასე ენაგამყრალებული, რო ქალისთვის ურგები საქონელია. იმ ბებრუცანას რისი თავი აქვს! მე რო ჩემს ნებაზე მიმიშვა და ერთი მაგარი ყაძახიც მომცა, წელიწადს არ გავუშვებდი, რო ბავშვი არ გამეჩინა. ქალი იმისი ქალია, რო ბალღები დააჩინოს. ზოგზოგებივით კი არა ვარ, მუცელი წამოებერებათ თუ არა, მაშინვე ვაიდედასა და ვუიდედას რო მორთავენ. შენა ღამით სად დაბორიალებდი, რო? გამელვიძა, ვხედავ, არა ხარ, კიდე გამელვიძა — ისევ არა ხარ. რიბირაბოზე კი გამოჩნდი...

ნასტენა. (გამოთიშულივით). ჩემს კაცთან მივდიოდი... ჩემს ქმართან, აი, იმასთან, შენ რო ამბობ, იმან დაგაორსულაო... არ მიმიშვეს იმასთან. ვიღაც კვალში მომყვებოდა და ამულებულ გავხდი გამოვტრიალებულიყავი.

ნადკა. ააფრინე, ნასტენა, შენა, ნამდვილად ააფრინე. ჯანდაბას შენი თავი, რაკი ადამიანის სიტყვა არ გესმის. მალე გააჩინე ის ბალღი... შენ თუ გული ასე გაისივე და გაიხეთქე, როგორ გინდა იმშობიარო. ლეკვს ხო არ აჩენ, ბავშვი უნდა გააჩინო, ნასტენა, ბავშვი! (გადის).

(ზარების ხმა. გამოჩნდება მიხეიჩი).

მიხეიჩი. (აქეთ-იქით იხედება, ქლოშინებს). მომისმინე, ნასტენა. ეგ თუ აქაა, სასწრაფოდ გაეცალოს აქაურობას ან რამე იღონოს, სანამდე დაუჭერიათ. აქა ვიღაცეები რაღაცას უპირებენ. ინოკენტი ივანოვიჩმა დააყენა ეგენი ფეხზე. კარდადან მილიციონერი გამოიძახეს, დღეს ამოვიდა. ტყუილუბრალოდ არ ამოვიდოდა. დაგწყევლიდი, რძალო, და შეგაჩვენებდი, რომ იმას არ შემახვედრე, მაგრამ ლნძლვა-გინება ისედაც არ დაგაკლდება. ოღონდ, ეს ცოდვა კი შენს კისერზე იყოს, მე რო შვილს არ შემახვედრე, ამ ცოდვას ვერსად წაუხვალ. ეგეც კაი ბატია, — მამასთან დალაპარაკებისა შეეშინდა! ერთი, თქვენც! გამიგე, რაც გითხარი?

ნასტენა. გავიგე. (სხვა შინაარსს დებს) ყველაფერი გავიგე.

მიხეიჩი. დაიყოლიე ეგა, რო თვითონვე გამოვიდეს, ვიდრე დაუჭერიათ. თუ არ ჩაბარდება, დაიჭერენ, მაინც ჩაიგდებენ ხელში, რაკი გაიგეს, რო ცოცხალია. როგორც საჭიროა, ისე უთხარი, ნასტენა. უთხარი, რო მე ვიცი... ეს რა ჰქნა, კაცო, რა ჰქნა! (გადის).

(ზარების ხმა. ნასტენას ნიჩბები მიაქვს, სცენის სიღრმეში იძირება. სიბნელეში ისმის ხმები).

ნესტორის ხმა. აგე, აგე ეგა! ნიჩაბს უსვამს, ერთი დამიხედეთ, იმისი გაფრთხილება არ მომინდომა! არ გამოგივა, ჩემო კარგო, არ გამოგივა.

ინოკენტი ივანოვიჩის ხმა. მეორე ნავი ჩაუშვით წყალში. სწრაფად! სწრაფად!

რწმუნებულის ხმა. გამოვნახავთ!

ნასტენა. სირცხვილია... ყველას ესმის კი, რა დიდი სირცხვილია ცოცხლობდე, როცა შენს ადგილზე სხვას სიცოცხლე უკეთ შეეძლო გაელია.

მაქსიმეს ხმა. ნასტენა! არ გაბედო, ნასტენა! ნას-ტე-ნა?!

ნასტენა.. არა, სიცოცხლე ტკბილია; სიცოცხლე საშინელია; სირცხვილია ცოცხლობდე...

(ზარების ხმა. მდინარის მწვანე შუქი იღვრება სცენაზე, თითქოს ანგარის წყალი შემოთქრიალდაო. სიბნელე წვება, ისმის ხმები: ქვევითკენ მოუსვით, ქვევითკენ.

— ახლა გინდა მოუსვით, გინდა, ნუ მოუსვამთ!

— ქვევით იყურეთ!

— ახლა გინდა იყურე, გინდ ნუ იყურები...

(შუქი ინთება. ცარიელი ნავი, რომლის ბორტზე გადმოკიდებულია თავსაფარი. ზარები მოგუდულად, ყრუდ რეკავენ).

ნასტენას ხმა. სიცოცხლე ტკბილია... სიცოცხლე საშინელია... სირცხვილია ცოცხლობდე...

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.